№ 30
პარასკევი, 18 მარტი

გაზეთის ფასი დამატებით: წლიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверiа".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 30
პარასკევი, 18 მარტი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა
საჯარო ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.
წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მარტიდან წლის დამლევამდის 8 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверiа".

ცირკი ძმათა ნიკიტინებისა.

პარასკევს, 18 მარტს, გაიმართება დიდი წარმოდგენა 3 განყოფილებად. სხვათა შორის, საზოგადოების თხოვნით, ცნობილი ჰერკულესი ფალავანი **რომო** ხელახლა ეჭიდება კავკასიელ უძლეველ ფალავანს **ქობულაშვილს**. ცირკის დირექციისაგან ჯილდოდ დანიშნულია 25 მანათი. დღეს საზოგადოება ნახავს, თუ ვინ არის უკეთესი ფალავანი, **ქობულაშვილი თუ რომო?** მეორედ—იჭიდავებს ცნობილი ფალავანი **ჯიბგირი** მეორე ცნობილ ფალავან **ოთარაშვილთან.** ჯილდო—ვერცხლის საათი. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი სალამოს $8^{1}/_{2}$ საათზე. შემდეგ **ცირკი დაიხურება.** (1—1).

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა $9^{1}/_{2}$—$10^{1}/_{2}$ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ქ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა $12^{1}/_{2}$ $1^{1}/_{2}$ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

სალამოს:

ს. ი. ვაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ ჩიქოვანი —9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—$1^{1}/_{2}$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—$1^{1}/_{2}$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

სალამოობით:

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардiана.**
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და სალამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან სალამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევს 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და სალამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

მცირე რამ.

ადრე გადამდგარი ჩინოვნიკობა იყრიდა თავს მუხრან-ბატონის სახლის წინ და ლაყბობდა. ახლა კი, გადავიდა თუ არა ის მანთაშევის ხელში, ქართველი თავად-აზნაურობა გროვდება იქ და ჰლელავს.

რა მიზეზია?—ის სტიქიონის ძალა, რომელიც უეჭველად მოსალოდნელი იყო, რომელსაც წინასწარმეტყველებდნენ ამ ოცდა ათის წლის წინად ზოგიერთები და, მათ რიცხვში—მეც. გაიხსენეთ მაშინდელი ჩემი ლექსები: „ვაის უნდა გავეყაროთ, მაგრამ უის შევეყრებით", „სიმღერა თოხნის დროს" და სხვანი, თუ აქ ყველაში არ შეხვდეთ იმის მოლოდინს, რაც მოხდა და ხდება დღეს!.. სწორედ იმ ხანებში დაითესა ის ეკალი, რომელიც ახლა გვჩხვლეტს!..

როცა ადამიანს ბორკილი უყრია, მაშინ ის სულ იმას ფიქრობს, თუ როგორ აიყაროს ბორკილი, და წვრილმან სატკივარს, გინდ მომავალში საშიშიც იყოს, აღარ აქცევს ყურადღებას. თუ ის ბორკილი მოიშორა როგორმე, სხვა სატკივრებზე აღარ ფიქრობს და მხიარულს თავი სრულიად მორჩენილი ჰგონია. სწორედ ასე მოუვიდათ მესამოცე წლების მოღვაწეებსაც...

ძველი წეს-წყობილების დარღვევამ და ახალ რეფორმების შემოღებამ: ბატონ-ყმობის გადაგდებამ, ახალმა სამსჯავროებმა და სხვათა ისე აიტაცა ისინი, რომ ყურადღება აღარ მიაქციეს იმ ცვლილებას, რომელიც მიუძღვნეს ჩვენს ქვეყანას, თუმცა ხალხი კი დაკვირვებული იყო და მაინცა და მაინც, რომ უნდოდა, ისე არ მოუდიოდა გუნებაში!..

მაგალითად: ბატონ-ყმობის გადავარდნამ დიდი უკმაყოფილებაც და სისხლის ღვრაც გამოიწვია რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში. საქართველოს თავად-აზნაურობა კი უფრო დამშვიდებით მიეგება. რომ ვსთქვათ, საწყენად არ დარჩენიაო, ტყუილი იქნება, მაგრამ გონიერებას კი არ უღალატებია მაშინ მათთვის და დეპუტაციაც მიუგზავნეს მთავრობას, როგორც ტფილისის, ისე ქუთაისის გუბერნიამაც. რადგანაც სათხოვარი თავად-აზნაურობის მხრით ერთი და იგივე იყო, მე მოვიყვან შემდეგ ამბავს ქუთაისის გუბერნიიდან...

ერთ დღეს შეიყარა თავი ქუთაისში იმერეთის თავად-აზნაურობამ, ამოირჩია დეპუტატები, რომელთა რიცხვში მამაჩემიც იყო, და შეუგზავნა გენერალ-გუბერნატორს კოლუბიაკინს. რადგანაც იმ მოხუცებულებში უმეტესობამ რუსული არ იცოდა, თარჯიმნად მე შემიყვანეს.

„თქვენო აღმატებულებავ!—მოახსენეს გუბერნატორს,—ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება ჩვენზე წყალობის მოღება, გვიბოძა სულზე ოცდახუთ-ოცდახუთი მანეთი და დაგვაშორა გლეხებს. ეს ასე უნდა მომხდარიყო, რადგანაც ბატონ-ყმობა, გარდა რუსეთისა, აღარსად ყოფილა და დღეს იმანაც გადააგდო. ახლა, რადგანაც გაყრა აუცილებელი შეიქმნა, გთხოვთ, რომ ამ თავითვე გაგვითაოთ საქმე: რაც იმათ ერგებოდეთ, მიეცით და გაგვითავეთ, რომ საჭირ-ბოროტო საშვილიშვილოდ აღარა დაგვრჩეს-რა, თორემ, თუ რომ ერთმანეთზე გადაბმული დავრჩით, როდესაც პირადად აღარაფერი უფლება გვექნება, მტრობა ჩამოვარდება".

აქ კოლუბიაკინმა გაიღიმა და სთქვა: „თვითონაც არ გესმით, რას ამბობთ! კარგი, რომ მთავრობა ზრუნავს თქვენის!.. აქამდე ჩვენც შამილის დაპყრობას ეუნდებოდით და თქვენ ჩვენთან იყავით! სამეურნეოდ არცერთს არ გვეცალა. თქვენ არ იცით მიწის მოვლა და, თუ არა ისევ გლეხებმა, ვინ დაგიხნათ და დაგითესოთ? ხომ შიმშილით მოკვდებით? არა, ჩვენ გლეხებს ისევ დროებით ვალდებულად გაგიხდით, მოვაცემინებთ მეოთხედს და წეს-რიგისათვის ჩვენს ჩინოვნიკსაც დავუნიშნავთო!.."

არ ვიცი, რა აზრით იყო ეს ნათქვამი, მაგრამ ბევრს კი არ ეპაშნიკა. ტფილისშიაც ამგვარი პასუხი მიიღეს დეპუტატებმა. მაგრამ უფრო დაწვრილებით მაშინდელ დეპუტატებს შეუძლიანთ გვითხრან. ერთი მათგანი დღესაც კიდევ ცოცხალია ღვთით, რევაზ ვაჩნაძე, და იმას ეცოდინება...

ასე იყო თუ ისე, მაინც დროებით ვალდებულად გახადეს გლეხები, დანიშნეს მომრიგებელი შუამავალი და გადაჯაჭვეს ერთმანეთზე თავად-აზნაურობა და გლეხობა. ერთი თავი ჯაჭვისა ბატონებს ჩააბეს, მეორე ყმებს, შუაში ხელი მოაკიდებინეს ჩინოვნიკს, რომელიც აქეთაც ექაჩებოდა და იქითაც. ბევრი უწესოება ხდებოდა, მაგრამ ხმის ამოღების ნება არა გვქონდა. კისერი მოეხეხა ორივე მხარესა, დაწყლულდა და დღეს იარის გამოშვებაა საჭირო.

რუსეთში, განსაკუთრებულის ფონდით, მთავრობამ შეახსნა გლეხებს მიწა-წყალი და აქ კი მიანება თავი. დარჩა გაღარიბებული თავად-აზნაურობა და უმიწაწყლო გლეხობა. ეს ამბავი მით უფრო გასაოცარი იყო, რომ მდიდარ საქართველოში, სახაზინო მიწებზე, რომლებიც ქართველ მეფის გვარეულობასა და ეკკლესიას ჩამოართვა სახელმწიფომ, ყოველი ტომის ხალხს ჰქონდა უფლება დასახლებულიყო, გარდა ქართველებისა. რაც მიწა სახელმწიფო უწყებას გადარჩა, ის „ჯვარის მამებმა" ჩაიგდეს ხელში... ეს ხომ სულ უსამართლობაა: ოდესმე საქართველოს საბერძნეთში ჰქონდა თავისი მონასტრები; იქ იყო ქართული სკოლები და ქართველი ბერებიც და იმათ საზრდოდ მიჩენილი იყო ქართლ-იმერეთში ადგილ-მამული. დღეს ესენი ყოველისფერი მოისპო და ადგილ-მამული კი მაინც ბერძნებს დარჩათ...

ასე თუ ისე, უმიწაწყლო ქართველ გლეხებს ან გადასახლება მოელით სხვაგან სადმე და ან შიმშილით სიკვდილი. აი, რა ამწარებს მას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ შინაურობაში, თავად-აზნაურობასთან მორიგება შესაძლებელია, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ძალადობა, დარბევა, მიხტომა, გადაწვა და სხვ. არ არის ქართველის ბუნება და ამ მხრით თავის დაჭერა და გონიერება მართებს ჩვენს გლეხობას...

ჰკაკი.

ქართლის ამბები.

სოფ. სალოლაშენი.

სალოლაშენის გლეხებს დაუწერიათ თავის მოთხოვნილებანი და წარუდგენიათ ადგილობრივ მემამულისთვის. აქვე ვბეჭდავთ ამ „მოთხოვნილებათ", რომლის სინამდვილესაც იგივე მემამულე თავის ხელმოწერით ამოწმებს. როგორც გავიგეთ, იმ მუხლებში, რომელთა ასრულებაც მემამულესაგანაა დამოკიდებული, ეს უკანასკნელი გლეხებს შესთანხმებია და შეჰპირებია, რომ გლეხების მოთხოვნას შეასრულებს.

აქვე ვბეჭდავთ სიტყვა-სიტყვით გლეხების მოთხოვნილებას:

„ჩვენ, მშრომელ და ყოვლად დაბეჩავებულ გლეხკაცობას, არა გვაქვს მიწა, ტყე, წყალი. ყველა ეს ბუნების სიმდიდრე ჩვენდა საუბედუროდ უფალმა სხვას ჩააბარა, მემამულეებს. ამით ისარგებლეს მათ და ერთი ორად დაადეს გადასახადი იჯარა ანუ ღალა მიწაზე, აგრეთვე გაადვირეს ტყე.

„ამიტომ ვთხოულობთ, დაწესდეს შეღავათიანი გადასახადი მიწაზე და ტყე კი უფასოდ მოგვეცეს. მოისპოს ყოველივე ბეგარა, მუშა, გუთანი გლეხკაცებისაგან მემამულეების სასარგებლოდ; აგრეთვე სამწყსური მემამულეებმაც გადიხადონ.

„ჩვენში არიან ნადელიანი გლეხკაცები, რომლებსაც ჯერ არ გამოუსყიდნიათ, შეუძლებლობის გამო. ამიტომ ვთხოულობთ უფასოდ დაეთმოთ ეს ნადელები. აგრეთვე უნადელო ხალხს მიეცეს ნადელი უსასყიდლოდ და ვისაც გამოუსყიდნია, იმას უკანვე დაუბრუნდეს ფული.

„ჩვენ სხვადასხვა გადასახადს ვიხდით, როგორც სასოფლოს, აგრეთვე სახელმწიფოს, რაიც ერთი ორად გვილატაკებს ისედაც გასაწყალებულ ხალხს, ამიტომ ვთხოულობთ, დაწესდეს გადასახადი შეძლებისდაგვარად, ესე იგი, ვისაც წლიური შემოსავალი არ აღემატება 50 თუმანს, იმან არაფერი გადაიხადოს, და ვისაც მეტი შემოსავალი ჰქონდეს, იმან გადაიხადოს,

„ჩვენი მღვდლები ყოველ წესის ასრულებაზე ფულს გვთხოვენ და ზედ მეტს დრამას. ამიტომ ვთხოულობთ მოისპოს ყოველივე გადასახადი მღვდლების სასარგებლოდ, და მიეცეთ მათ სახელმწიფო ჯამაგირი, ან არა და ვისაც სურს, იმან აძლიოს.

„ჩვენ არ გვსურს პოლიცია თავის სტრაჟნიკებით, რადგანაც ესენი ჩვენს საქმეს არ არჩევენ, ემსახურებიან ქრთამს და მხოლოდ მთავრობის ბრძანებას ასრულებენ.

„ჩვენ არ გვსურს არც ერთი სასამართლო, რადგანაც მომეტებულს ადგილს სამართალი სწარმოობს უვიც თარჯიმანების შემწეობით. ამიტომ ვთხოულობთ მოისპოს ეს და დაარსდეს საგლეხო თვით-მართველობა.

„ჩვენ ადამიანები ვართ, ამიტომ ვთხოულობთ ყოველ უფლებას თანასწორ სხვა წოდებასთან.

„აგერ ცხრა წელიწადია, მაღაზიის ფულს ვიხდით, მაგრამ ჩვენ ამ ფულით არ გვისარგებლია, ამიტომ ვთხოულობთ უკანვე დაგვიბრუნდეს ეს ფული, რათა ამით დავაარსოთ ადგილობრივი საგლეხო ბანკი, რომ შეღავათიან სარგებლით შეგვეძლოს სესხება, თორემ ჩვენი მოვახშეები ზოგჯერ თუმანზე 50 კაპ. გვახდევინებენ. უკეთუ არ შეგვისრულებთ ამ მოთხოვნილებას, აღარ გავიღებთ მაღაზიის ფულს.

„ჩვენ როგორც გვინდა, ისე მოვიხმარებთ ჩვენს ჭირნახულს. ამიტომ ვთხოულობთ მოისპოს აქციზი არაყის გამოხდაზე, რადგანაც ჩვენში ძაან შემცირდა ღვინის მოსავალი და უსასმელოდაც არ შეგვიძლიან გაძლება. ყოველს ნივთს დიდი ბაჟი ადევს, მაგ. ჩვენებური ნავთი უცხო ქვეყანაში 30 კაპ. ღირს, ჩვენში კი 180 კაპ. აგრეთვე ძვირია ჩვენში შაქარი, საპონი, სპირტი, სპიჩკა და სხვა. ამიტომ ვთხოულობთ, მოისპოს ეს ბაჟი, რაიცა მომეტებულად ჩვენ, ღარიბებს, გვაწევს კისერზე.

„ჩვენ გვსურს სწავლა-განათლება, რადგანაც უსწავლელ კაცს ყველა სჩაგრავს ამ წუთისოფელში. ამიტომ ვთხოულობთ, დაარსდეს საყოველთაო სავალდებულო სკოლა, სადაც განურჩევლად სქესისა, უნდა სწავლობდნენ ჩვენი ბავშვები 16 წლამდის და სწავლა უნდა სწარმოებდეს ქართულ ენაზე.

„ჩვენი სალდათები მიჰყავთ უცხო ქვეყანაში, სადაც ვერ იტანენ იქაურ ჰავას და უდროვოდ ესალმებიან წუთისოფელს. ამიტომ ვთხოულობთ, ჩვენი სალდათები გაამწესონ ადგილობრივ პოლკებში.

„გზებს მარტო გლეხკაცები ვაკეთებთ, თითქოს მარტო ჩვენ დავდიოდეთ. ამიტომ ვთხოულობთ ყველა წოდებამ მიიღოს მონაწილეობა.

„ჩვენი ხალხი ბევრჯელ გვეხოცება უექიმოდ იმიტომ, რომ ჩვენ არა გვყავს ექიმი და არ გვაქვს საავადმყოფო. ამიტომ ვთხოულობთ დაგვიარსონ საავადმყოფო თავის ექიმით.

„ჩვენმა გამწვავებულმა ცხოვრებამ გვაიძულა ხმა ამოგვეღო და მოგვეთხოვა ყოველივე ზემოდ მოხსენებული."

წერილი სურამიდან.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

გუშინ-წინ გაკვრით შევნიშნე, სურამში კომისია მოვიდა, რომელშიაც არიან ტფილისის საგლეხო საკრებულოს თავმჯდომარე ვეიდენბაუმი, მაზრის უფროსები გორისა და ტფილისისა ლ. ჯანდიერი და სხვანიო. ისიც აღვნიშნეთ, რომ 14 მარტისთვის სურამში ქვიშხეთისა, ხაშურისა და სურამის სამამასახლისოები იქმნენ დაბარებულნიო.

14 მარტს სურამს სულ სხვა ელფერი დაედო. დილის რვა საათიდან ყველანი: კაცი, ბავშვი, ქალი სახლებიდან გამოვიდნენ და ქუჩებში შეიკრიბნენ. ცხრა საათზე სხვადასხვა სოფლებიდან გუნდ გუნდად მოდიოდნენ გლეხები და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ათ საათზე სურამში სამი ათასამდე გლეხმა მოიყარა თავი. სოფლებიდან თავად-აზნაურნიც ჩამოვიდნენ. გლეხებს ქალებიც თან ჩამოეყვანათ. ქალები ხმა-მაღლა ღაღადებდნენ: „თუ კაცებს აქვთ საჩივლელი, ჩვენ უფრო ბევრი საჩივლელი გვაქვსო".

დავდიოდი სურამის გრძელს ქუჩაზე, რომელიც ხალხით იყო გაჭედილი და ყველგან მესმოდა გლეხკაცთა ლაპარაკი: „არა, ჩვენ ვერაფერს ვეტყვით ამ კომისიას. პოლიციის ჩვენ არ ვენდობით. პოლიცია ჩვენთვის არას დროს არა ზრუნავდა და ვერც ახლა იზრუნებს. ჩვენი მდგომარეობის გამოსაკვლევად თუ სხვა კაცები მოვლენ, იმათ ყველაფერს ვუამბობთო".

ხალხში ხმა გავრცელდა, ის კაცები, რომლებმაც რამდენსამე სოფელში ამ კომისიას გლეხთა მდგომარეობა აუხსნეს, დაჭერილი იქმნენო. ხალხი იმანაც შეაშფოთა, რომ მატარებლით სტრაჟნიკები და ყაზახები მოვიდნენ, თუმცა ნახევარი მათგანი ისევ უკან იქმნენ დაბრუნებულნი.

უკვე თორმეტი საათი სრულდებოდა, რომ ხალხი ისევ წყნარად, დინჯად ბჭობდა ერთმანეთ შორის და კომისიას კი არავინ ეკარებოდა. თორმეტ საათზე ხალხმა კვლავ მოილაპარაკა და ხუთ წამში გლეხნი მშვიდად დაიშალნენ და სოფლებისკენ გაემგზავრნენ.

კომისია მხოლოდ სამმა კაცმა ინახულა. ესენი იყვნენ სურამისა, ხაშურისა და ქვიშხეთის მამასახლისები, რომლებმაც ჯაჭვები მოიხსნეს და კომისიას გადასცეს. კომისიამ ჯაჭვები არ მიიღო და სასოფლო კანცელარიაში დააწყობინა...

იმავე დღეს რამდენმამე მღვდელმა თავი მოიყარა სურამში და ბლაღოჩინს სთხოვა მღვდელთა საზოგადო კრების მოწვევა.

ამავე დღეს ვნახე ალიდან სანდო კაცი, რომელმაც ერთი ამბავი გადმომცა: „სამი კაცი საბატონო ტყეში შესულიყო, შეშა მოეჭრა და ალში ჩამოეტანათ. ეს ამბავი გაიგეს იმ ოთხმა კაცმა, რომელნიც ალის მოსამართლეებად არიან არჩეულნი, იმათ კვირას სოფელს მოუყარეს თავი ეკკლესიაზე, სადაც მიყვანილ იქმნენ შეშის მომჭრელნი. მღვდლებისა და რამდენისამე თავად-აზნაურის თანადასწრებით გლეხებმა დამნაშავენი გალანძღეს და პირში აფურთხეს, მოჭრილი შეშაც წაართვეს და მთელი სოფლის საკუთრებად ჩათვალეს".

ამავ დღეებში, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, სადგურ გომის ახლო, სოფელ წიფაში თავად ციციშვილთან გლეხები შესულან და უთხოვნიათ, ძმობა შემოგვფიცეთო. თავადს შეუფიცნია და გლეხებიც წასულან. ასეთივე მაგალითები სხვა სოფლებშიც მოჰხდა.

რ—ბ—ლი.

ქ. გორი. 14 მარტს საქალაქო და სასულიერო სასწავლებლის მოწაფენი შეიკრიბნენ საქალაქო სასწავლებელთან, საიდანაც ისინი სიმღერით გაემართნენ ქალთა გიმნაზიისაკენ. ერთს მათგანს ხელში ეჭირა დროშა ზედწარწერით: „გაუმარჯოს აკადემიურ თავისუფლებას". ისინი მივიდნენ ქალთა გიმნაზიასთან, სადაც ამ დროს სწავლა იყო, და მოითხოვეს, იქაც შეეწყვიტათ სწავლა. რადგან მათი თხოვნა არ დააკმაყოფილეს, დემონსტრანტებმა ფანჯრები ჩაამტვრიეს, რის შემდეგაც ქალთა გიმნაზიის მოწაფენი ჯერ-ჯერობით ოთხი დღით დაითხოვეს, სანამ პასუხი მოუვათ მთავრობისაგან. ამის შემდეგ მოწაფენი დაიშალნენ. პოლიციამ გონიერება გამოიჩინა და ხელი არ ახლო. სამწუხაროდ, ასე არ მოიქცა პოლიცია იმავე დღეს სხვა ადგილას.

გორის მახლობლად არის საძოვარი ადგილი, რომელიც წინად ქალაქის საკუთრება იყო. შემდეგ ის დაიჩემა ბ-ნმა ამიროვმა, შემოავლო ღობე, დააყენა მოიჯარადრე და საძოვრად გორის საქონელს უფასოდ აღარ უშვებდა. ამავე 14 მარტს მთლად გორის მცხოვრებლები, წავიდნენ, გამოუცხადეს მოიჯარადრეს, რომ დაენებებინა თავი და აშალეს ღობე. შემდეგ ქალაქში დემონსტრატიულად ჩამოიარეს, მაგრამ საარტილერიო მოედნის ახლო დახვდათ შეიარაღებულ სალდათების ჯგუფი, რომელთაც, თვით ჩვეულებრივ ,,разоитись'' უთქმელად, ხალხს რამდენჯერმე ესროლეს. ხალხი მაშინვე გაიფანტა, მოჰკლეს ერთი 12 წლის ბავშვი, რომელიც ტყვიას გაეგმირა, და თერთმეტი მძიმედ დასჭრეს. დაჭრილები წაიყვანეს საავადმყოფოებში ორი. იმ დღესვე გარდაიცვალა, ექიმებს რამდენიმეს მორჩენის იმედიც აღარა აქვთ. ხალხი თავისთვის მშვიდობიანად მიდიოდა, იარაღიც კი არა ჰქონდათ, წინააღმდეგობის გაწევას სრულობით არ ფიქრობდა. საკვირველი უფრო ის არის, რომ სალდათებს სროლა ნაბძანები არა ჰქონდათ.

გ. [illegible]—ძე.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

16 მარტი.

პარიზი, 16 მარტი (ჰავასი). საფრანგეთის ხუთმა კარდინალმა—მათ რიცხვში პარიზისა, ლიონისა, ბორდოსი და რენის მთავარ-ეპისკოპოსებმა წერილობით მიჰმართეს საფრანგეთის პრეზიდენტს და განუცხადეს კონკორდატს მხარს დავუჭერთო. ყოველივე საჭირო ცვლილება საფრანგეთის მთავრობამ ვატიკანთან შეთანხმებით უნდა მოახდინოსო. განხეთქილების პროექტი ხალხის უნებურად სარწმუნოებრივ დევნას გამოიწვევსო.—მადაგასკარის გუბერნატორი ოფიციალურად იუწყება, კუნძულზე უწესოება აღარ არისო.

ბათუმი, 16 მარტი. გუშინ, ტფილისის ქუჩაზე, ოთხი შეიარაღებული კაცი თავს დაეცა ნობელის არტელჩიკს, ცხრაასი მანეთი წაართვეს და მიიმალა.

ბელგრადი, 16 მარტი. გუშინ საბჭომ დაადგინა: იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ საქალაქო დებულებათა გადამსინჯავ კომისიაში მონაწილეობის მიღების ნება მიეცეთ საბჭოს წარმომადგენლებსაც, ვინაიდან სოფლების მახლობლად მდებარე წვრილმა ქალაქებმა ხალხის ნამდვილი საჭიროებანი უფრო კარგად იციანო.

ყაზანი, 16 მარტი. იურიდიულ საზოგადოების

წლიურ კრებაზე, რომელსაც გარეშენი არ ესწრებოდნენ, დაადგინეს: იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რომ ნება მიეცეთ—კრება უნივერსიტეტის გარეშე გამართონ ხოლმე.—სახალხო ლექციების შესახებ კომისია შესდგა, რომელმაც, თანხმად 18 თებერვლის ბრძანებისა, მოხსენება უნდა შეიმუშაოს. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა პროფესორი შერშენევიჩი. მისს ამხანაგად—ნაფიცი ვექილი ბაბუშკინი.

სუჯა, 16 მარტი. თავად-აზნაურობის წინამძღვარმა იურიევიჩმა განაცხადა: თუ ხოლერა გაჩნდება, ჩემ ხარჯზე ორ ფარდულს ავაგებ, სადაც ქალაქში მომსვლელ გლეხთა და მუშათათვის გამართული იქმნება წყალის ასადუღებელი ქვაბებიო.

მინსკი, 16 მარტი. შუამდგომლობენ, რომ ბელორუსთა ენაზე ყოველ-კვირეული გაზეთი გამოიცეს. გაზეთს სახელად „პოლესიე" ერქმევა, რედაქტორად იქმნება პოხანი.

პეტერბურგი, 15 მარტი. სენატმა განმარტა, იმ გუბერნიების მეღვინეებს, რომელთაც თვითონ მოჰყავთ ღვინო, ნება აქვთ უპატენტოდ ივაჭრონ არა მარტო ბაზარსა და იარმუკაზე, არამედ გუბერნიის ყველა დასახლებულ ადგილებშიაც. ღვინის უპატენტოდ ვაჭრობის ნება აქვთ როგორც ურმებსა და ნავებზე, ისე ამ ურმებთან გამოსულ მაგიდაზეც. მაგიდებთან შეუძლიანთ სკამებიც იქონიონ.

ბერლინი, 16 მარტი. დღეს დამტკიცდა ხელშეკრულობა სამედიატორო სამართლის შესახებ ბელგიასა, ინგლისს, იტალიასა, ავსტრო-ჰუნგრეთსა, საფრანგეთსა, შვეიცარიასა და ნორვეგიის შორის.

კოპენჰაგენი, 16 მარტი. რიკსდაგმა მიიღო დანიასა და რუსეთ შორის სამედიატორო სამართლის შესახებ შეთანხმება; მიიღო აგრეთვე კანონ-პროექტი ფიზიკურად დასჯის შემოღების შესახებ.

პეშავერი, 16 მარტი. ბრიტანიის ქაბულში მყოფი მისსია ინდოეთს ბრუნდება;

სტამბოლი, 16 მარტი. პატრიარქმა სარწმუნოებათა მინისტრისაგან ნოტა მიიღო, რომლითაც აუწყებს, რომ საპატრიარქო კრიზისის მოწესრიგება ირადეს თანხმად პატრიარქს მიენდოს, ვინაიდან სინოდის ოპოზიციის წევრები პატრიარქს უკანონოდ მოექცნენ და მათთან ერთად მუშაობა შეუძლებელიაო.

მოსკოვი, 16 მარტი. მოსკოვის ბავშვთა თავშესაფარების საბჭომ უღდაბებით ფულის მოგროვების საქმეში უწესოება აღმოაჩინა ერთი შემგროვებელთაგანი უკვე სამართალში მისცეს. მეორე ეჭვ ქვეშაა —რადგანაც მოსკოვში საქმეებისა გამო რუსეთის ყველა მხრიდან ბევრი საერობო მოღვაწე მოდის ხოლმე, განუზრახავთ ამ მოღვაწეთათვის განსაკუთრებული კლუბი დააარსონ.—ქალაქის თვითმმართველობა ხოლერის საწინააღმდეგო ზომებს ახლავე ასახელებს. კონსერვატორიის დირექციამ დაადგინა სწავლა დროებით შესწყვიტოს.

იაროსლავი, 16 მარტი. გამოცხადდა, რომ იაროსლავის გუბერნია ხოლერის მხრივ საშიშოა. გუბერნატორმა მოიწვია კრება: საერობო, სამოქალაქო, საფაბრიკო, რკინის გზისა და სამხედრო უწყებათა წარმომადგენლებისაგან; კრება შეიმუშავებს ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველ ზომებს.

იალტა, 16 მარტი. გუბერნატორმა გამოაცხადა: ქალაქში წეს-რიგი აღდგენილიაო; მუშებისა და ხელოსანთა კრებები ნება-დართულ იქმნება მაშინ, როცა სრული მშვიდობიანობა დამყარდებაო.

ბაქო, 16 მარტი. უბნის ზედამხედველი თ-დი მიქელაძე, გარადოვოი ეფიმუშკინი ეტლით მიდიოდნენ. ამ დროს თავს დაეცა ხუთი შეიარაღებული კაცი. მიქელაძე და პოლიციელი მოჰკლეს და გაიქცნენ. გაქცეულებმა კიდევ ერთი ვიღაცა უცნობი ფეხში დასჭრეს.

პეტერბურგი, 16 მარტი. დღეს, დილის სამ საათზე, ჟუკოვის ზეთის ქარხანას ცეცხლი გაუჩნდა. დაიწვა ქარხნის ის ნაწილი, რომელშიაც ზეთსა ხდიდნენ და სწმენდნენ. იქვე იყო 60,000 ფუთი ზეთი. ზარალი 500,000 მანეთამდეა. ამბობენ ქარხანას ცეცხლი განზრახ წაუკიდესო.—15 მარტს, საღამოთი სტატს-სეკრეტარ კოკოვცევის თავმჯდომარეობით გაიხსნა იმ კომისიის სხდომა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს სხვადასხვა წარმოების მუშათა ცხოვრების გასაუმჯობესებელი ზომები. კომისიამ სასურველად სცნო, იმ სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს წარმომადგენლები: სავაჭრო-სამანუფაქტურო კომიტეტების, ბირჟების საბჭოთა, სამთო მადნების მწარმოებელთა საბჭოსი, პოლონეთისა, ურალის კონტორებისა, რკინის ქარხნებისა, ოქროს მწარმოებელთა მადნეულობის ქარხნებისა, ნავთის მწარმოებლებისა, შაქრის ქარხნებისა, ლუდის ქარხნებისა და ფაბრიკანთა საზოგადოებისა. სამკურნალო დახმარების პროექტის განხილვის დროს გადაწყვეტილია მოიწვიონ პეტერბურგის, მოსკოვის, ტვერის, ვლადიმირის, კოსტრომის, ხერსონის, ნიჟნი-ნოვგოროდის სარატოვის, ეკატერინოსლავის და ხარკოვის გუბერნიების და ქქ. პეტერბურგისა და მოსკოვის ერობათა ნიჟნი-ნოვგოროდისა, კიევისა, ხარკოვისა და ვარშავას წარმომადგენლები.

რომი. სამინისტრო შესდგა. მინისტრ-პრეზიდენტად და შინაგან მინისტრად დაინიშნა ფორტისი. გარეშე საქმეთა ტიტონი, იუსტიციისა ფონოჩჩიარო აპრილე, ფინანსთა—მაიორანა, ხაზინის გამგედ—კარკანო, სამხედრო—პედოტტიდ, ზღვათა—ადმირალი მირაბელლო, სახალხო განათლებისა—ბიანო, საზოგადო მუშაობათა—ფერრარის, მიწადმოქმედებისა—რავა, ფოსტისა—მორელლი გვალტიროტტი. მინისტრებმა ფიცი მიიღეს,

მადრიდი, ოფიციალურად უარსა ჰყოფენ ინგლისელების იმ ცნობებს, ვითომც ისპანიას აზრად ჰქონოდეს ტანჟერში საფრანგეთის საწინააღმდეგო მანიფესტაციების გამართვა.

პეტერბურგი. ა. მ. ჟუკოვის ზეთისა და საპონის ზავოდებში ცეცხლი გაჩნდა. სამ-სართულიანი ზეთის საწმენდი განყოფილება სულ გადაიწვა. ცეცხლი მუშების სადილობიდან უკან დაბრუნების შემდეგ გაჩნდა და ისე უცბად მოედო შენობას, რომ მუშებმა ძლივს გამოასწრეს. მუშათა ზედა—ტანისამოსი ცეცხლმა იმსხვერპლა. ზარალი 300 ათას მანეთამდეა.

ლისაბონი. იმპერატორი ვილჰელმი ადლუმებს დაესწრო და შემდეგ ბელემის მონასტერი და პანთეონი დაათვალიერა. პორტუგალიის მეფე მომავალ შემოდგომაზე გადაუხდის დარბაზობას ბერლინში. სეფე—სადილის დროს სასახლეში მეფემ გერმანიის იმპერატორის სადღეგრძელო დალია და პორტუგალიის ერის მხრივ მიესალმა. იმპერატორი დიდად ნასიამოვნები დარჩა და მადლობა გადაუხადა დიდებულ დახვედრისათვის. იმპერატორმა სთქვა, რომ ამიერიდგან მეგობრობა ორ ხალხთა შორის უფრო განმტკიცდებაო, დალია მეფე-დედოფლის სადღეგრძელო და პორტუგალიის წარმატება ისურვა.

სოფია, 15 მარტი. რადგანაც ხმა გავრცელდა, რომ სამინისტროს კრიზისი მოელისო, გაზეთები დღევანდელ მდგომარეობის შესახებ მიმოხილვებს ჰბეჭდავენ. მათი აზრით, ბულგარია საპოლიტიკო კრიზისში ჩაყენა ერის მმართველებისადმი უნდობლობამ. მართველები თვით მთავარმა არჩია და მოკლებული არიან ნიჭსა და სახელმწიფო თვისებებსა. ამგვარი რეჟიმი ხალხს კონსტიტუციის საწინააღმდეგო და ყოველ პოლიტიკურ მიმართულებას მოკლებულად მიაჩნია. სამინისტროს კრიზისის შესახებ გავრცელებული ხმები ტყუილია. მთავარსა და მისს მინისტრთა შორის სრული განწყობილებაა.

სტამბოლი. თუმცა ოფიციალურად არ არის გამოცხადებული და ინგლისიც უარს ჰყოფს იმ ხმებს, ვითომც სანა, იემენის სატახტო ქალაქი, მეამბოხეებს აეღოთ, მაგრამ სამხედრო წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ სანა ამ რამდენისამე დღის წინა მეამბოხეებს ჩაჰბარდათ. ამბობენ, ჩაბარების წინად დღეს უცხოლდები ამოხოცესო. მარშალი რიზო-ფაშა მეამბოხეთ ვერ გაუმკლავდა, რადგანაც საკმაო სურსათი და სამხედრო მასალა არა ჰქონდა. თებერვალში სანას სულ ათი დღის საყოფი სურსათი ჰქონდა.

პეტერბურგი. ის ხმები, ვითომც ამ უკანასკნელ დღეებში ხარბინში ცეცხლი გაძვინვარებულა, ყოველ სიმართლეს მოკლებულია.

იალტა, 16 მარტი. 13 მარ. ქალაქის ჩრდილოეთი ნაწილი უსაქმო „ბოსიაკების" აუარებელმა ბრბომ აიკლო. ამის მიზეზი შემდეგი იყო: პოლიციამ დააპატიმრა ერთი მათხოვარა მთვრალი სალდათი, რომელიც თავის თავს პორტ-არტურიდგან მოსულად აცხადებდა. ამით ხალხი ძალიან აღელდა და მოსთხოვა პოლიციას დაპატიმრებული განთავისუფლებინა, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ გაბრაზებული ხალხი შემოერტყა საპოლიციო სახლს, დაუწყო მას ნგრევა და დაპატიმრებული მალე გაანთავისუფლა. განთავისუფლებულმა ბრბოს მოთავის ადგილი დაიჭირა. ბრბო საშინელი სისწრაფით იზრდებოდა. მას უერთდებოდნენ: «ბოსიაკები», მთვრალი მუშები და მრავალი ახალგაზრდობა. ბრბო ქალაქის სხვა ნაწილებსაც შეესია. დაანგრია, დალეწა საპოლიციო და ციხის სამმართველოები და ძვირფასი ნივთების მაღაზიები. მეორე დღეს, დილით, სიმფეროპოლიდან და სევასტოპოლიდან ჯარი მოვიდა. სანამ ჯარი მოვიდოდა, ქალაქის მცხოვრებლები თითონ იცავდნენ თავიანთ თავს. ყველაზე ძლიერ დაზარალდნენ: ბეკიროვი 150,000 მ., მორდვინოვი 60,000 მ., ავთიაქის პატრონი ლევი 40,000 მ., მუსათე ნიკოვი 20,000 მ., და სხ. მცხოვრებლები დამშვიდნენ და ჩვეულებრივად მუშაობა დაიწყეს. შიშიანობა აღარაა. დაზარალებულთ თავიანთ ნივთებს უბრუნებენ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

16 მარტი.

ტოკიო. გაზეთი „ოსაკა მაინოჩ"-ში აწერილია იმ ბრძოლის ამბავი, რომლის დროსაც იაპონიის ორი პოლკი თითქმის სულ მთლად გაწყდა. პოზიცია, რომელიც უნდა დაეჭირათ, სოფელი ლიკუნპო იყო. ბრძოლა დაიწყო 22 თებერვალს. იაპონელები ხოხვით მოიპარნენ. მერე ზეზე წამოდგნენ და რუსებს ხელის ყუმბარები სეტყვასავით დაუშინეს. სოფელში შევიდნენ. რუსები თავგანწირულად ეწინააღმდეგებოდნენ. ნაშუადღევს რუსის რაზმმა მამაცური იერიში მიიტანა და ორი საათის შემდეგ იაპონელები შუაში მოიმწყვდია. იაპონელები იძულებულნი შეიქმნენ თავი თხრილებით დაეფარათ. მალე ტყვია-წამალი გამოელიათ. რუსების ცალიერ სიათებს (პატრონების ჩასაწყობებს) დაუწყეს ჩხრეკა, რომ ვერას პოულობდნენ, მერე მკვდრებს ჯიბე-უბეებს უსინჯავდნენ, იქნება პატრონები ვიპოვოთო. იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. პოლკოვნიკი იუშიაკა მოკლულ იქმნა. პოლკოვნიკი ტაკსუში მძიმედ დაიჭრა. ოთხი მედროშე ერთიერთმანეთზე დახოცეს. ტაკხუშიმ ორი აფიცერი და ერთი სალდათი მაშველ ბრიგადასთან გაგზავნა. ორთავე აფიცერი დახოცეს, სალდათი დასჭრეს, მაგრამ ღამე იყო და სალდათმა მაინც მიაღწია ბრიგადამდის, რომელმაც საომარი მასალა მიაშველა. სოფელი იაპონელებს მზის ამოსვლამდის მაინც ხელში ჰქონდათ და ამით რუსებს ფაქტიურად საშუალება არ მისცეს, იაპონელთა ცხენოსან რაზმის მოძრაობისთვის ხელი შეეშალათ. დილის 11 საათზე რუსებმა უკან დაიწიეს.

დურბანი, 16 მარტი. დღეს რანგუნიდან ერთი გემი მოვიდა. გემზე მყოფებმა განაცხადეს: 6 მარტს, კუნძულ მადაგასკარიდან 750 მილის სიშორეზე ბალტიის ესკადრიას შევხვდითო. ესკადრა შესდგებოდა: 30 სამხედრო და 14 ნახშირის მზიდავი გემისაგან. ესკადრა აღმოსავლეთისაკენ მიდიოდა.

ლონდონი, 16 მარტი. მოწინავე წრეები ამბობენ: მომავალ ზაფხულში საფრანგეთის ესკადრა ინგლისში წავა და სპიტხედში გაჩერდებაო. ეს გარემოება ნათლად დაამტკიცებს ინგლისისა და საფრანგეთის მეგობრულ შეთანხმებას. როგორც ერთ სარწმუნო წყაროდანა სჩანს, იაპონია რუსეთს ზავის ჩამოსავლებად 100 მილიონ გირვანქა სტერლინგს მოსთხოვს. რადგანაც იაპონიას ამ ომით დიდი ზარალი მოუვიდა, ეს კონტრიბუცია ზომიერად უნდა ჩაითვალოს და ბევრით მცირეა იმ კონტრიბუციაზე, რომელიც გერმანიამ 1871 წ. საფრანგეთს გადაახდევინა.

(ღამის დეპეშები იხ. მეოთხე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ომის ამბები. ბრძოლის ველზე სრული სიჩუმე ჩამოვარდა. რუსები პირდაპირ ხარბინისკენ მოდიან. იაპონელები უკან მოსდევენ. ამბობენ, რუსები მდინარე ხუნხეზე გამაგრდებიანო, მაგრამ საეჭვოა, რომ დაღლილ-დაქანცულმა, გაბნეულმა, დამშეულმა და უბრალო ბრბოდ გადაქცეულმა ჯარმა გამარჯვებულ და აღფრთოვანებულ იაპონელთა შეჩერება მოახერხოს. იაპონელთა მთავარი ჯარი ნელ-ნელა მოსდევს რუსებს, მოწინავე რაზმები კი ფეხდაფეხ მოსდევენ და რუსების მოძრაობას თვალ-ყურს ადევნებენ (რ).

კორესპონდენტების დეპეშები. „ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი ტოლუზაკოვი იუწყება: ეხლა რუსეთის უფროსებმა, რუტინიორებმაც კი შეიგნეს, რომ მოწინააღმდეგის გაცნობას, იმის მოძრაობისა და რაოდენობის ცოდნას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ, რუსები, იმ თავითვე ჩინელებს მხეცურად ვეპყრობოდით, ვძარცვავდით, ვყვლეფავდით, ვდევნიდით; მთელი მანჯურია ავაოხრეთ, გავალატაკეთ, დავამშიეთ და ადგილობრივ მცხოვრებთ თავი შევაძულეთ და შევაზიზღეთ. იაპონელები სულ სხვანაირად ექცეოდნენ და ამიტომ იმათი გული მოიგეს, მოიმხრეს და მშვენივრადაც გამოიყენეს. რუსეთის ჯარი ჯაშუშებით გაივსო. ჩინელი მოხელე, გლეხი, მსახური, თარჯიმანი, დიდი, პატარა, კაცი და ქალი,—ყოველ ჩვენს მოძრაობასა და განზრახვას იაპონელებს ატყობინებენ. ჩვენ კი თვალ-ახვეულები დავდივართ და ყოველთვის ვმარცხდებით.

მდიდარი რუსეთი წელიწადში ჯაშუშებზე 20 ათას მანეთს ხარჯავს, პატარა იაპონია კი 12 მილიონს.

იგივე კორესპონდენტი რუსეთისა და იაპონიის შინაურ ცხოვრებას ადარებს და ჩივის, რუსეთის ხალხი ჩვენ, მებრძოლთ, ყურადღებას არ გვაქცევს, გვემტერება კიდევაც და თხოულობს, ომს თავი დაანებეთ, უკან დაბრუნდით და სამშობლოს გადარჩენაც სწორედ აქ, რუსეთში შეგიძლიანთ, და არა მანჯურიაში, რომელიც რუსეთს გროშადაც არ უღირსო. ჩვენ აქ ვიტანჯებით, სული გვეხუთება, ვიხრჩობით, თქვენ კი მანდ ხალხის ოფლითა და სისხლით მონაგარ მილიონებს ფლანგავთ და უდანაშაულო ჩინეთს სძარცვავთო. სასწავლებლები იაპონიაშიაც დაიკეტა და რუსეთშიაც, მაგრამ ამასი მიზეზი სულ სხვადასხვაა: იაპონელი ახალგაზრდობა ომში გამოიხვეტა, თავგანწირვით იბრძვის და თავის სიკვდილით ამაყობს. რუსეთის ახალგაზრდობა კი, პირიქით, ომის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს და დაჟინებით თხოულობს, ომი შეაჩერეთო. რუსეთის ხალხს ამ ომის მნიშვნელობა არ ესმის, არც თანაუგრძნობს და ამბობს, ჩვენ მანჯურია კი არა, თავისუფლება გვინდაო. ეს ხალხი მანდ; რუსეთში, იბრძვის და ჩვენსკენ მხოლოდ მაშინ მოიხედავს, როცა დავმარცხდებით და უკან მოვდივართ; მოიხედავს და დაგვცინის, გვეყვირის: ეგრე, ეგრე გინდათო; ანდა სანუგეშოდ პროკლამაციებს გვიგზავნის, ომს თავი დაანებეთ, რუსეთში დაბრუნდით და გაგანთავისუფლებთო. მე თვითონ ვნახე, რომ მუკდენის ბრძოლის შემდეგ უკან წამოსულ რუსეთის დაღლილ, დაქანცულ და დამარცხებულ ჯარს სამშობლოდან ნუგეშად ათასობით გაუფანტეს პროკლამაციები. როცა უკან ვიწევთ, გვარცხვენთ და დაგვცინით, როცა პოზიციებზე ვდგევართ და სასიკვდილოდ ვემზადებით, პროკლამაციებს გვიგზავნით და გვირჩევთ, იაპონელებს ტყვედ დანებდითო ერთი გვითხარით, თუ ღმერთი გწამთ, რა გინდათ ჩვენგან, რას თხოულობთ? თუ მართლა ომი არ გინდათ, მაშ ჩვენ უნაყოფოდ და ტყუილად ვიხოცებით. ამისთანა შემთხვევაში ჩვენგან გამარჯვებას ტყუილად თხოულობთ. ერთხელ კიდევ გეხვეწებით, თუ ღმერთი გწამთ, ჰკითხეთ მთელ რუსეთს, ჰკითხეთ დიდსაცა და პატარასაც, ქალსაცა და კაცსაც, ღარიბსაცა და მდიდარსაც, ჰკითხეთ, რა უნდათ ჩვენგან, რასა გვთხოვენ,—გამარჯვებას თუ შინ დაბრუნებას? გაიგეთ და შეგვატყობინეთ (ნ. ვ.).

„რუს. სლ."-ს კორესპონდენტი გარინიც იუწყება: მთელი ჯარი პროკლამაციებით აავსეს. ყველას ურჩევენ, იაპონელებს ტყვედ დანებდითო. კი არ გეგონოთ, ვითომ ამ პროკლამაციებს იაპონელები გვიგზავნიდნენ, არა, პროკლამაციები შუაგულ რუსეთიდან მოდის (რ. ს.).

„რუს"-ის კორესპონდენტი იუწყება: რუსეთის ჯარიდან აუარებელი სალდათი გარბის და იაპონელებს ტყვედ ნებდება. არ ვიცით, რა ვქნათ, როგორ შევაყენოთ ეს მოძრაობაო (რ.).

გენ. კუროპატკინის მოხსენება. ომის დაწყებამდის გენ. კუროპატკინმა რუსეთის მთავრობას ვრცელი მოხსენება წარუდგინა შორეულ-აღმოსავლეთში საქმის მდგომარეობის შესახებ. გენ. კუროპატკინი, სხვათა შორის, სწერდა: როცა ჩვენ აქტიური მოქმედება დავიწყეთ კორეაში (მდ. იალუს ნაპირებზე სტატს-სეკრეტარის ბეზობრაზოვის კონცესიები), იაპონიაში უკმაყოფილება გამოაცხადეს და თანდათან საქმე ისე მწვავდება, რომ შეიძლება დღეს-ხვალ ომიც დაიწყოს. სტატს-სეკრეტარის ბეზობრაზოვის მოქმედება ისეთნაირია, რომ ამ კაცმა იაპონიასთან ომში უნდა ჩაგვითრიოს. ამნაირადვე იქცევა დეის. სტ. სოვ. ბალაშოვი. როცა მე იაპონიაში ვიყავი, კარგად შევამჩნიე, რომ იაპონელები ჩვენს მოქმედებას კორეაში გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს, ღელავენ და მზად არიან თავიანთი ინტერესები იარაღით დაიცვან. ჩვენი კონცესიონერები უდიერად იქცევიან კორეაში, იალუდან სეულამდე რკინის გზის გაყვანას თხოულობენ და ქალ. მოზამპოში (კორეის სრუტესთან მდებარეობს) ციხის აშენებას აპირობენ (ნამდვილად ციხის აშენებას კონცესიონერები კი არა, რუსეთის მთავრობა აპირობდა). ამან იაპონელები დაარწმუნა, რომ რუსეთი შორეულ აღმოსავლეთში თავის გეგმის ასრულებას შეუდგა, ე. ი. რუსეთმა მანჯურიის გარდა კორეის გადაყლაპვასაც ხელი მიჰყო. იაპონია იმდენად აღელვებულია, რომ, დღეს თუ ხვალ, ომს გამოგვიცხადებს, და თუ ჯერ არ გამოგვიცხადა, ეს იმიტომ მოხდა, რომ ბეზობრაზოვმა თავის საქმეები ჯერ-ჯერობით მთლად ვერ აასრულა. ჩვენის ელჩების აზრით, იალუსა და იონგამპოში ბეზობრაზოვის მიერ დაწყებული საქმეები იაპონიასთან ომს გამოიწვევს. ამ აზრს მეც ვეთანხმები.

ბეზობრაზოვის საქციელი რუსეთში მცხოვრებთა გარდა მთელმა ქვეყანამ იცის. იანვარში

ფელეტონი

ძლივს...

(ვუძღვნი ლეოს).

ძლივს გაისმა ხმა სიმართლის..
ძლივს შეისხა ფრთები რწმენამ...
და უკეთესს სიცოცხლეზე
ძლივს სიტყვა სთქვა მუნჯმა ენამ.

—

მუნჯმა ენამ, მონურ-ყოფის
გუშინ გულ-ქვა მოციქულმა,
დღეს სულ სხვა სთქვა, უცხო გრძნობით
და იმედით გამსჭვალულმა:

—

„კმარა.. ტანჯვას საზღვარი აქვს..
უნდა დაშრეს ცრემლის ღვარი..
არ შეშვენის ადამიანს
სულ მონობა საზიზღარი...

—

არ შეშვენის მას ლაგამი,
სულს და გულზე დადებული,
ფიქრი, გრძნობა, სინიდისი
გარყვნილი და წამებული.

—

შორს ბორკილი შემხუთავი...
შორს ლაჩრული გულის ძგერა...
შორს... შორს კრული, უსამართლო,
საზიზღარი ბედის-წერა"...

—

ეს სთქვა ენამ.. მასვე ამბობს,
იმასვე გრძნობს სული, გული,
მომავლისკენ გამყურე და
იმედებით გამსჭვალული.

—ნი.

გურიის ვითარება.

—

უკანასკნელი ურილობა, რომელსაც კრომ-გირეი დაესწრო, იყო სოფელ ლანჩხუთში. თავდაპირველად ურილობამ თავის წარმომადგენლების პირით აღწერა გლეხობის უკიდურესი მდგომარეობა. სამივე გატეგორიის გლეხი: მესაკუთრე, დროებით ვალდებული და სახელმწიფო—ერთნაირად შეწუხებულია. მუშის მკლავი იმისთვის გვაქვს, რომ ლუკმა პური ვიშოვოთ. მარა რა ვქნათ, საცა ყველა ჩვენი წინააღმდეგია, ყველა გვწუწნის, ცდილობს ჩვენს დაჩაგვრასა და ოხრებას. დროებით ვალდებული გლეხები ყოველ მხრივ შევიწროებულია, მებატონისაგან თავი ვერ დაუღწევია, მისთვის მუშაობისაგან ვერ განთავისუფლებულა. არც მესაკუთრე წასულა შორს. მესაკუთრეა მარა საკუთრება არა აქვს და ისევ მემამულეს უვარდება ხელში. სახელმწიფო გლეხების მდგომარეობა, დღით-დღე უარესდება. სახელმწიფო გლეხებს ლანჩხუთში ჰქონდათ ტყე და სახნავი მიწები. 1882 წ. ეს მამულებიც ჩამოართვა მთავრობამ, დააყენა ტყის მცველები და შიგ ფეხი არ შეგვადგმევინა.

ყოველმხრივმა შევიწროებამ ხალხი გაამწარა. ჩვენ შევეცადეთ ჩვენი მდგომარეობა გაგვეუმჯობესებია, მარა რას გავაწყობდით? ჩვენ ვერ გავხდით ჩვენი თავის პატრონი. ჯერ ჩამოგვართვეს მამასახლისის არჩევის უფლება. დაგვიყენეს მთავრობის მამასახლისი. შიმშილის დროს 500 მ. გადაგვახდევინეს წინდაწინ მამასახლისის ჯამაგირად. მამასახლისმაც არ შეარცხვინა თავისი გამომგზავნელები: 381 მ. სოფლის ფული შეჭამა. ჩვენ ვთხოულობთ, რომ დაგვიბრუნდეს როგორც მამასახლისის ჯამაგირში გადებული ფული, ისე მისგან შეჭმულიც.

რამდენადაც ხალხში გაჭირვება იზრდებოდა, იმდენადვე პოლიცია მეტს ეჭვიანობდა, გაფაციცებით თვალს ადევნებდა ხალხს, არავინ არ ილაპარაკოს, ერთმანეთს თავისი აზრები არ გაუზიარონო. გასულ წელს, 22 აპრილს, ბოქაულის მოადგილე კვაშალი ჩაფრებით ჩასაფრდა გზის პირას. ყანიდან ბრუნდებოდნენ სახლში გლეხები თავის თოხებითა და წალდებით. უცებ გავარდა თოფი და ორი ახალგაზდა მუშა, ყოვლად პატიოსანი, გამოესალმა წუთი სოფელს: იოსებ ებრალიძე და კონსტანტინე ჩაჩავა. ესეც არ იკმარეს,—სხვებსაც გამოუდგნენ. შეშინებული მუშები გადავარდნენ, ჩვენც კარგ დღეს არ დაგვაყენებს ეს ჩინების გულისთვის უმანკო სისხლის დამთხევიო. ერთმა ჩაფართაგანმა არ ისროლა თოფი; ვერ გავიმეტებ უდანაშაულო ხალხსაო, და იმ წამსვე დაითხოვეს სამსახურიდან. მოვიდნენ საქმის გამოსაძიებლად: გუბერნატორი, გამომძიებელი, ჟანდარმი. გამოძიებაზე დაიბარეს ბოქაული და ჩაფრები,—სხვა არავინ. როცა მოკლულ ყმაწვილის დაკაწრული დედა გამოჩნდა, გუბერნატორმა ბრძანა: მომაშორეთ თავიდანო! გამოძიებას ასეთი შედეგი მოჰყვა: ხალხს წყრომა და სასჯელი, მკვლელებს — გამართლება, ნუგეშის ცემის მაგიერ გამოგვიგზავნეს ორი როტა სალდათი და 100 კაზაკი. ჯარი ჩვენს ოჯახში დაბანაკდა, თითო კვირაში ბინას იცვლიდნენ და იქ მიდიოდნენ, სადაც მოეწონებოდათ. ამავე დროს ჯარის შენახვაც ჩვენ დაგვაკისრეს. იმისთანა დროს, როცა ჭადი საყიდელი გვქონდა, თვე-ნახევარში 5,000 მ. გადაგვახდევინეს. ყველამ ვერ შესძლო ხელად ფულის მიცემა. თვითონ ბოქაული ჯარით და ურმით დადიოდა სოფელში. გამოახიზაკეს ოჯახი. დღესაც ჩვენი ნივთები სოფლის კანცელარიაში ყრია, თუმცა უფრო შეძლებულებმა უკვე სულ გადაიხადეს სოფლის ვალი. ჯარი მოდიოდა. მოგვთხოვეს ურმები. საქონლის ჭირი გაჩნდა. ხარები არ შეგვაბმევინეს, **თვითონ ჩვენ, ადამიანები**, შეგვაბეს ურემში და ისე მიგვატანიეს ბარგი სადგურზე.

ერთმა დეპუტატმა მიმართა ურილობას: კიდევ შეებმებით ურემში? ერთხმივ დაიგრიალა სამ ათასზე მეტმა კაცმა: გვეყოფა, გვეყოფა, რაც დამცირება გამოვიარეთო.

წამოდგა დარბაისელი ქალი და ილაპარაკა: აგვიგლო ჯარმა. ურძენი შეჭამეს, სიმინდი დაამტვრიეს და ცხენებს შეაჭამეს, ხილი მოგვისპეს. ქალებს სალდათები დაგვდევდნენ და ვიმალებოდით. დაღლილი ქმრები და შვილები ყანებიდან ბრუნდებოდნენ, ოჯახში მოვლას და მოსვენებას მოელოდნენ, ჩვენ, ქალები კი, დამალული ვიყავით, რადგან გვეშინოდა. განსაკუთრებით თავი იჩინეს კაზაკებმა. ქვევრებს თავს ხდიდნენ და ღვინოს იპარავდნენ; თუ ფუტკარი იყო სადმე,—სულ გაანადგურეს, კარია (საქათმე) არსად დაუტოვებიათ გაუქურდავი. ჩვენი უბედურება აუწერელია. ამასთან ხალხს იჭერდნენ, ატუსაღებდნენ და ასახლებდნენ. ყველა გადასახლებულები, დატუსაღებულები და გადავარდნილები სიმართლის მთქმელი იყო.

წინეთ,—შენიშნა მოხუცმა დეპუტატმა,—სიმართლის თქმას ვშიშობდი, ახლა—მე 67 წლისა ვარ— აღარ მინდა მიწაში ჩამყვეს ჩემი სიმართლე, მსურს განვაცხადო ჩემი გაჭირვება. არც მესმის, რატომ უნდა მეშინოდეს სიმართლისათვის? მუშა ხალხის ყველა შემავიწროებელი თავ-აწეული დადის. ავიღოთ, მაგალითად, თუნდა შემდეგი გარემოება: ჩვენისთანა მშრომელ ხალხის მონაგარით ივსება სახელმწიფო ხაზინა. ყველა მოწადინებული ვიყავით, რომ ეს ჩვენგან წაღებული ფული გვსარგებლებოდა ჩვენვე, მშრომელ ხალხს, ჩვენი შვილების გასაზრდელად. ნაცვლად ამისა, მღვდლებს მოუმატეს ჯამაგირები. მღვდლებმა ესეც არ იკმარეს და სულ მეტისა და მეტის თხოვნა დაგვიწყეს. ჩვენი შეძლება ამათ მიჰქონდათ და, რასაკვირველია, შვილებსაც კარგად ზრდიდნენ. შეიძლება ჩვენი შვილები უფრო ნიჭიერებიც ყოფილიყვნენ მათ შვილებზე, მარა სიღარიბე და სხვა პირობები ხელს გვიშლიდა. ჩვენ ვთხოულობთ, დაწესდეს სავალდებულო, უფასო, საერო სწავლა ორივე სქესისათვის 16 წლამდე. ჩვენ გვქონდეს ყველა ხარისხის სასწავლებელი ჩვენშივე. სწავლა სასწავლებლებში სწარმოებდეს ჩვენს დედაენაზე, რუსული ენა ისწავლებოდეს, როგორც საგანი. სწავლამ დასთესოს თავისუფლება, სიყვარული, ძმობა და ჭეშმარიტება და სკოლა ნუ იქნება იარაღი გათახსირებისა და გადაგვარებისა.

ხალხს დღეს არც სასამართლო აქვს. მართალია, მოსამართლეები გვყავს, სახელად კი მოსამართლეები ჰქვია, მარა საქმით სულ სხვაა. ყოველ კუთხეში სხვადასხვა ზნეა, სხვადასხვა ჩვეულებაა, კანონი კი ყველასთვის ერთნაირია. ამასთან მექრთამეობა ხდება, მდიდარი თავისას გაიტანს, ღარიბი კი ვერ ეღირსება სამართალს. მოსამართლეს ვერ გავაგებინეთ ჩვენი, რადგან ჩვენი ენა არ ესმის, არც ჩვენ ვიცით რუსული. ჩვენს სიტყვიერ თხოვნას არ ღებულობენ, უნდა მივმართოთ წერილობითი თხოვნით და ისიც უსათუოდ რუსულ ენაზე. ამას მოჰყვება ათასნაირი გადასახადი, რომელიც ხალხს აღელვებს და სასამართლოს კარს უხშობს. ამიტომ ძირიანად უნდა შეიცვალოს დღევანდელი სასამართლოს წესი. ხალხმა თვითონ უნდა აარჩიოს მოსამართლე და, თუ იგი სიყალბეს ჩაიდენს, თვითონვე გადააყენოს. მთელი საქმის წარმოება და გარჩევა მხოლოდ ადგილობრივ ენაზე იყოს; სასამართლო უნდა იყოს ხალხური და ხალხისთვის სასამართლო. ჩვენ კიდევ ვცადეთ ჩვენივე ძალით გავლენა გვქონოდა ჩვენს მეზობლებზე და გაგვესწორებია. ამოვირჩიეთ 22 კაცი. ამათ პატარა ქურდები უნდა გაესწორებიათ, გარდა ამისა, შეესწორებინათ და შეეკეთებიათ გზები.

ერთხელ ბოგა (ხიდი) გვქონდა გასაკეთებელი. მოვიყარეთ თავი ერთ სახლში. ვიღაცამ დაგვაბეზღა; ჩვენ არაფერი ვიცოდით. შევიკრიბეთ საღამოს. უეცრივ სახლს დაუშინეს თოფები. ბოქაულმა დაიძახა: კარში არავინ გამოხვიდე, თვარა სიცოცხლეს გამოესალმებითო. ან კი როგორ გამოვიდოდით, როდესაც იქვე კარებთან ჩასაფრებულები იყვნენ! ჩვენ ყველანი მიწაზე გავითხლაშეთ. შეწყდა სროლა. გაიღო კარები. ბოქაული შეუდგა ხალხის გაჩხრეკას. ფიქრობდა, აქ ვინმე „მოლაპარაკე" აღმოჩნდება, აწიოკეს ოჯახი, გაამანტრაშეს ქვეშსაგებელი,—ხომ არაა შიგ რამე დამალულიო,—დაუმტვრეველი არაფერი დაუტოვებიათ. ეს საზიზღრობაა. ჩვენ მოვითხოვთ გვქონდეს კრების სრული და განუსაზღვრელი თავისუფლება.

დეპუტატებმა დაწვრილებით ჩამოთვალეს ყველა ის მოთხოვნანი, რომელზედაც უნდა დამყარდეს ხალხური უფლებრივი წყობილება.

—

სოდარია სოფლის ამბავი. სულ პატარა ბიუროკრატიაც კი ყოყოჩობს და ხალხს აბუჩად იგდებს. როცა ლანჩხუთში ურილობა დასრულდა, კრომ-გირეის წინაშე წარსდგნენ ნიგოითის საზოგადოების წარმომადგენლები და შემდეგი უთხრეს: „გუშინ ჩვენს ურილობაზე მოვიდა ადგილობრივი სადგურის უფროსი; თქვენის განკარგულებით, ჩვენ ის დავითხოვეთ. მეორე დღეს მივედით სადგურზე წერილების მისაღებად. წინად წერილებს უფასოდ გვაძლევდნენ. ახლა კი თითოეულ წერილში სამი კაპეიკი მოგვთხოვა. გარდა ამისა, წინად თითო ვაგონის გამოწერაში თითო მანეთს ქრთამს იღებდა. ამ დღეს კი ორი მანეთი მოითხოვა". სწორედ ახირებული მოვლენაა... ასეთი უტიფრობა განა შესაწყნარებელია?!

პეტრე სურგულაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. პანტელეევმა გაზეთ „ნაში დნი“-ში ღია წერილი დაბეჭდა და ბეზობრაზოვს შეეკითხა, მოიხსენით ნიღაბი და გვიამბეთ, რა გააკეთეთ კორეაში, ვისთვის გააბით მახეში რუსეთი და დაწვრილებით გვიამბეთ თქვენი სიბნელით მოსილი „მოღვაწეობა კორეაში. ბეზობრაზოვმა, როგორც მოსალოდნელი იყო, პანტელეევს პასუხი არ გასცა, საზღვარ-გარედ გასწია და დროებით თავს უშველა (ს. ო.).

მუკდენში შესვლა. იაპონელები მუკდენში ოფიციალურად 6 მარტს შევიდნენ. „ინდ. ბელჟ.“-ს კორესპონდენტი ასე აწერს იაპონელთა შესვლას მუკდენში: მუკდენის მთავარ ქუჩაზე, ქალაქის კარებიდან მარშალ ოიამას სადგომამდე ორ რიგად გამწკრივებული იყო მარ. ოკუს ჯარი. იაპონიის გენერალი სიმუსს, ოიამას საპატიო მხლებლები—მარშალ ოკუს შტაბის ოფიცრები ახლდნენ. წინ სამხედრო მუსიკა, გვარდია და დრაგუნები მიუძღოდნენ. მთავარ შტაბის წარმომადგენელნი—გენერალი კოდამა და იაპონიის ტახტის მემკვიდრე ფუშიმა-ოიამას გვერდს უმშვენებდნენ. ოკუს შტაბს ნოძუს შტაბი, უცხოელთა სამხედრო აგენტები და კორესპონდენტები მისდევდნენ. ჯარს მაღლა და ამაყად მიჰქონდა ყუმბარებისგან დაფლეთილი და ბოლისგან გაშავებული დროშები. იაპონიის სალდათებს ბრინჯაოს ფერის კანი ჰქონდათ, ამაყად, მედიდურად და მხნედ გამოიყურებოდნენ. ჟანდარმერია და პოლიცია ძლივს იმაგრებდა 100 ათას ჩინელს, რომელნიც იაპონელთა დასახვედრად მოვიდნენ. მთელი ქალაქი ბაირაღებით იყო მორთული. ოიამა და იმის შტაბი ჩინეთის მეფის მოადგილესგან დათმობილ სასახლეში დაბინავდნენ. მთელი დღე ჩინელები იაპონელთა მოსვლას დღესასწაულობდნენ (ნ.).

რუსი ტყვეები იაპონიაში. „ტაიმს“-ის კორესპონდენტი რუს ტყვეებს ესტუმრა და ელაპარაკა. ყველა ტყვე ამბობს, ჩვენ იმიტომ ვიბრძოდით, რომ ნაბრძანები გვქონდა, ხოლო გავიმარჯვებდით თუ არა—ეს ჩვენთვის სულ ერთი იყო. რა ოხრად გვინდა მანჯურია,—ამბობენ ტყვეები,—რა დაგვრჩა იქ, ან იქნება ჩვენ ცოტა მიწები გვაქვს? ძალიან კარგს იზამენ იაპონელები, თუ მანჯურიას მართლა წაგვართმევს. ჩვენი შვილები მაინც აღარ წავლენ ამ დაწყევლილ ქვეყანაში, სადაც 5 წელიწადი უნდა იმსახუროს სალდათმა. ნეტა წაგვართვან ეგ ოხერი მანჯურია და სხვა არა გვინდა რა (ნ.)

ზავი და რუსეთის ახალი სესხი «ბერლ. ტაგებ.»-ში საინტერესო წერილია დაბეჭდილი ზავისა და რუსეთის ახალ სესხის შესახებ:

იაპონიას სულაც არ უნდა საჩქაროდ ზავის ჩამოგდება. ამბობენ, რუსეთს მანჯურიაში დიდი ჯარი ჰყავსო, მაგრამ ეს მხოლოდ ქაღალდზეა დაწერილი. თვენახევრის შემდეგ იაპონიის ჯარი ხარბინსაც აიღებს და ვლადივოსტოკსაც ალყას შემოარტყამს. გარდა ამისა, იაპონია რუსეთს ადვილად წაართმევს სახალინს, კამჩატკას, აღმოსავლეთ ციმბირის ნაპირებს და ყოველ კვირის შემდეგ რუსეთს უფრო მეტსა და მეტ კონტრიბუციას მოსთხოვს. ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ იაპონიის მმართველნი გულ-გრილად ეპყრობიან ევროპიელ საზოგადოების თხოვნას ზავის ჩამოგდების შესახებ. რუსეთის საქმე ცუდად არის, მაგრამ როცა იაპონელები ვლადივოსტოკს აიღებენ, უფრო გაფუჭდება, რადგან იაპონია რუსეთს საკუთარ მიწა-ადგილს წაართმევს. ამ უბედურ მდგომარეობიდან რუსეთს მხოლოდ მისი ფინანსური გაკოტრება იხსნის. საფრანგეთის ბანკირები მუკდენის ბრძოლის შემდეგ რუსეთს ძალიან ცერად უყურებენ. საფრანგეთის მთელი პრესსა რუსეთს საშინლად ჰკიცხავს და ყველას აფრთხილებს, რუსეთს ფულს ნუღარ ასესხებთ, თორემ დაგეკარგებათო. საფრანგეთის მთავრობაც ძალიან დაფიქრდა და შიშობს, ვაი თუ ის ფულიც დაგვეკარგოს, რომელსაც აქამდის ვაძლევდით რუსეთსაო. აქამდის რუსეთის საგარეო სესხის ქაღალდების ფასს თვით რუსეთის მთავრობა სწევდა, ეხლა კი ეს ხრიკები ყველამ გაიგო და ელიან, რუსეთი ან დღეს გაკოტრდება, ან ხვალაო. ამის შემდეგ შესაძლებელია, რომ რუსეთის მთავრობა ზავზე უარს არ იტყვის; უფულოდ კი ომი ისევე არ შეიძლება, როგორც უჰაეროდ სიცოცხლე (ნ.).

ახალი ამბავი

✦ თავ. ვ. ნ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს, ტ. ა. ენფიანჯიანცს, თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვსა და ქალაქის მდივანს ს. თ. ქრელაშვილს ქალაქის გამგეობამ **ავჭალაში** წასვლა და ადგილობრივ **გლეხების უკმაყოფილებების გამორკვევა დაავალა.**

კვირას, 13 მარტს, ეს კომისია იყო ავჭალაში და გლეხებს მოელაპარაკა. კომისიას ერთმა გლეხმა, გვარად ვარდანაშვილმა (სომეხია), სხვათა შორის, განუცხადა: ჩვენ, ავჭალის მცხოვრებნი, მომეტებულ ნაწილად დღიურ ხალფასითა ვცხოვრობთ და სამუშაოს საძებნელად ათასს ადგილას გვიხდება წასვლა იმ დროს, როდესაც აქვე ქალაქის წყალის მილებია და სამუშაოც ბევრია. ქალაქის გამგეობა ჩვენ არ გვაძლევს ამ სამუშაოს, ერევნელი და სხვა კროები მოჰყავს და ამუშავებსო. ეს ხომ უსამართლობაა, მით უმეტეს, რომ ჩვენ უფრო იაფად ვიმუშავებთ. სხვა რომ არა იყოს-რა, ჩვენთვის განსაკუთრებული ბინის აგება მაინც არ მოგიხდებათ. ამას გარდა, ქალაქი ნებას არ გვაძლევს ვისარგებლოთ იმ საძოვრით, რომელიც ქალაქს ეკუთვნის, და საქონელი სიმშილით გვეხოცება, მაშინ, როდესაც იქვე მტკვარში დიდი კუნძულია, სადაც მშვენიერი ბალახი მოდის. მაგრამ ქალაქის მოსამსახურენი საქონელს არ უშვებენ, ატუსაღებენ, სცემენ და მათ პატრონებს ფულს ახდევინებენო.

კომისიამ გლეხთა ჩივილი სამართლიანად სცნო და აღუთქვა, სოფელს წყალის მილებზე 15–20 კაცამდე ვამუშავებთო.

✦ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ტფილისის **მეჩექმეებმა მუშაობაზე უარი განაცხადეს.** ამის გამო, როგორც შევიტყეთ, 15 მარტს სახელოსნო გამგეობაში აუარებელი ხალხი შეგროვილა გაფიცულთა მოთხოვნილების განსახილველად. მცირე-წლოვანი შეგირდები თხოულობენ: პურის ფულად დღეში აბაზიდან ექვს შაურამდე, ხოლო თვეში—ტანისამოსისა და ბინისათვის ორ მანეთ-ნახევარს. ქარგლები ითხოვენ წყვილ ჩექმაზე ათ შაურს, ხოლო დანარჩენ საქმეზე 20—30 კაპეიკამდის. ოსტატებს უარი უთქვამთ, ვერაფერს მოგიმატებთ, რადგან დუქნის ქირამ იმატა და მასთან პეტერბურგის და ვარშავის ნაწარმოების მეტოქეობამ ჩვენი ხელობა სულ მიწასთან გაასწორაო. ეს საგანი საბოლოოთ არ გადაუწყვეტიათ და კრება პარასკევისთვის გადაიდო.

✦ როგორც გავიგეთ, **ფშავ-ხევსურეთშიაც დაწყებულა გლეხების მოძრაობა.**

✦ ქუთაისიდან ლეჩხუმში ახლად გადაყვანილი **ბოქაული მახარაძე** მოუკლავთ. („ჩერნ. ვესტ.“).

✦ როგორც „ჩერნ. ვესტ“. იუწყება, ქ. ოზურგეთში გენერალ-მაიორ ალიხანოვ-ავარსკის **პასუხის გებაში მიუცია ბლაღოჩინი მღვ. დავით ანტონის ძე დუმბაძე.** მიზეზი ისაა, რომ მღ. დუმბაძეს უარი განუცხადებია მღვდელ-მსახურების შესრულებაზე თ. ტ. ნაკაშიძისა და ლ. გურიელის დასაფლავების დროს. როგორც ვიცით, მათი მკვლელობა პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა.

✦ როგორც ნამდვილ წყაროებიდან შევიტყეთ, **სოფ. დიღმის გლეხებს** საერთო ყრილობაზე მოულაპარაკნიათ და **დაუდგენიათ,** მღვდელს მიეცეს: ჯვარის წერის, ნათლობისა და დამარხვის მხოლოდ თოთხმეტ-თოთხმეტი შაური.

✦ **ამ დღეებში ასეთი ამბავი მოხდა.** ღამის 11 საათზე, ოლგას ქუჩაზე ორი ყაზახი მივიდა მეპურესთან და აწონინა ათი გირვანქა პური; ამ ყაზახებმა აწონილი პური ამოიდეს იღლიაში და გზას გაუდგნენ. როცა მეპურე დაედევნა ფულის სათხოვნელად, ყაზახებმა ხმალი იშიშვლეს; მეპურემ მიმართა იქვე მდგომს გოროდოვოისს და დვორნიკს, მაგრამ ამათგანაც ვერაფერი დახმარება მიიღო. უდანაშაულოდ დასჯილ მეპურეს ურჩევენ ქალაქის მოურავს მიჰმართოს.

✦ ამ თვე-ნახევრის წინად **მოჰკლეს ვალარშაპატის** (ერევ. გუბ.) მამასახლისი. რადგან მკვლელნი დღემდე ვერ აღმოაჩინეს, **ადმინისტრაციამ 6,960 მანათით დააჯარიმა** ვალარშაპატის გლეხობა. რადგანაც გლეხები გაჭირვებულს მდგომარეობაში არიან, ამოირჩიეს 4 დეპუტატი და გამოჰგზავნეს ტფილისში, რომ იშუამდგომლონ კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელთან, რათა ხსენებულ სოფლის გლეხებს ჯარიმა ეპატიოს (მშაკი).

✦ ერევნის ქალაქის მოურავმა აცნობა ტფილისსას, რომ ერევნის **საბჭომ აირჩია დეპუტატებად** თვითონ მოურავი და ხმოსანი ალა-ხან ერივანსკი, რომელთაც საბჭომ დაავალა, პირადათ იშუამდგომლონ შინაგან საქმეთა მინისტრთან, რომ უფლება მიეცეთ კავკასიის სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს, მონაწილეობა მიიღონ საბჭოში, რომელსაც აზრადა აქვს სახელმწიფო წეს-წყობილებისა და ხალხის კეთილდღეობის მოწესრიგების საქმე. ეს თხოვნა თუ არ შეიწყნარეს, მაშინ ხსენებულმა დეპუტაციამ მონაწილეობა უნდა მიიღოს მინისტრის თავმჯდომარეობით შემდგარს საბჭოში, როგორც ქ. ერევნის წარმომადგენლებმა.

✦ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა **წინამძღოლის მოადგილემ თავ. ა ჯამბაკურ-ორბელიანმა სთხოვა** ტფილისის გუბერნატორს, ნება დართოს გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრების მოწვევაზე. ეს კრება, წინამძღოლის თხოვნით, უნდა დაინიშნოს ორ კვირაზე გამოცხადების შემდეგ.

✦ 16 ამ თვეს მოხდა **კრება ქალაქის გამგეობის წევრებისა, ტეხნიკოსებისა,** საფინანსო კომისიის წევრებისა და ტრამვაის წარმომადგენლებისა ნავთლუღში ტრამვაის გაყვანის შესახებ; კრება იმ აზრს დაადგა, რომ რკინის გზა ციციანოვის აღმართით გაიყვანონ; ის ოთხასი ათასი მანათი კი, რომელიც ტრამვაის გამგეობას აქვს გადადებული სომხის ბაზრის გასაფართოვებლად, მოხმარდეს მუხრანის ხიდის აგებას, რომელზედაც რკინის გზამ უნდა გაიაროსო.

✦ ამას წინად **ტფილისის სამხატვრო სკოლიდან ფულის შეუტანლობის გამო** რამდენიმე შეგირდი დაითხოვეს. ახლა ამ სკოლის მოწაფეებს განუზრახავთ, ამ ახლო ხანში ქართული **წარმოდგენა** გამართონ სკოლის დარბაზში ან რომელსამე თეატრში და შემოსავლით **ღარიბ ამხანაგებს** დახმარება აღმოუჩინონ. მოწაფეთა გადაწყვეტილება მოსწონებია დირექტორს და დახმარებაც აღუთქვია. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი და დახელოვნებული სცენის მოყვარულნი.

✦ 16 მარტს კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე **მიასვენეს ერთი მიცვალებული ქალი, გვარად ხარაული.** მიცვალებულს ყურები წითელი აქვს და თვალები მკვდრისას არ უგავს. გვამის შესამოწმებლად იქვე სასაფლაოზე მოწვეულ იქმნა ექიმი, რომელმაც თუმცა მიცვალებულად იცნო, მაგრამ თვით ექიმმა და ხალხმა მაინც ყოველ შემთხვევაში არჩიეს გვამის დასვენება ეკლესიაში იმ დრომდე, სანამ მიცვალებულს ნიშნად სიკვდილსა სუნი არ აუვა და სხეულს გარხწნის ნიშნები არ აღმოაჩნდება.

სადღეისო

ნაწყვეტები...

იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ბედნიერება სუფევდა დედა-მიწაზე, უფროს-უმცროსობა არ იყო და ყველა ერთობით ცხოვრობდა.

საჭირო დროს უფროსი ეხმარებოდა უმცროსს, ხელი ხელ ჩაკიდებული შრომობდნენ ერთად.

ერთხელ ტყეში, სადაც ორი ძმა ცხოვრობდა, სეირნობის დროს დაინახა უფროსმა, რომ თხა ეხვეწებოდა ლომს, დამეხმარე და მომინახეო შვილი, ამ ტყეში დამეკარგა და შენ, როგორც აქაურობის ბატონს, შეგიძლია აღმომიჩინო დახმარება ამ საქმეშიო.

ამის პასუხად ლომმა თხას უბრძანა,—თან წამომყევი, მსუქანი ხარ და შეგჭამო,—და შენი შვილი თუ მოიძებნა, ერთ გემრიელ ლუკმად ისიც გამომადგებაო ხვალისთვის... წამოდი!

ყმაწვილს გაუკვირდა ლომის საქციელი და ჰკითხა, შვილის მაგიერად რად სჭამო საცოდავ თხას და თიკანსაც?

ლომმაც უპასუხა,—ხომ ჰხედავ ჩემ ღონეს! ღონიერი ვარ, ძლიერი და ჩემი ღონითაც უნდა ვისარგებლოო უთუოდ.

ჩაფიქრდა ყმაწვილი, შეხედა თავის განიერ მხარ-ბეჭს, გაახსენდა უმცროსი ძმა და მისი სისუსტე...

შინ დაბრუნდა და როდესაც ძმამ რაღაცაზე დახმარება სთხოვა, დახმარების მაგივრად გალახა კარგად და უთხრა,—ხომ ჰხედავ, შენზე უფრო ღონიერი ვარ და ამიტომაც უნდა ვიბატონო ამიერიდან შენზეო.

უმცროს ძმას ეწყინა, მაგრამ საწინააღმდეგოდ არ ჰქონდა ძალა და გაჩუმდა, დროებით შეურიგდა თავის მონობას...

და მას აქეთ დამყარდა დედა-მიწაზე ძალ-მომრეობა, ძლიერისაგან უძლურის დაჩაგვრა, დამონებულისაგან ჯავრის ამოსაყრელად, თანასწორობის მოსაპოვებლად ძალ-ღონის მოკრეფა!

ასე ყოფილა უწინ და ასეა დღემდის...

—

დედა ბავშვს ასეირნებდა ბაღში... ბავშვი ცელქობდა, ერთ ადგილას არ ჩერდებოდა... ხვეწნა და დარიგება არა სჭრიდა...

ბოლოს დედამ ერთ ახალ ხერხს მაჰმართა,—აგერ შავი ძაღლი მოდისო, დევი შეგჭამსო, თუ მომშორდი და ცალკე დაიწყე სირბილიო.

ბავშვს შეეშინდა დევის... ბავშვი დაწყნარდა...

აღარ ცელქობს, არ ეთამაშება ბუნებას,—შეშინებული, მთრთოლვარე ზის დედის კალთასთან და გაჩუმებული აქეთ-იქით იცქირება.

აი, ასე შიშით, დევების შიშით, ძაღლების შიშით, გულში იკლავდა ბავშვი ყოველსავე სურვილს და იზრდებოდა უხასიათო, მოკლებული მხნეობას, მოკლებული საკუთარ სურვილებს, სხვისი ფეხთა მტვერი, სხვისი ბრძანების აღმასრულებელი, უენო...

შიშმა დაამახინჯა ბავშვის გული...

ასე ყოფილა უწინ და, საუბედუროდ, ასეა დღემდის...

—

ყველა ცხოვრობდა ძმურად, თანასწორობა სუფევდა დედა-მიწაზე, არ იყო ჩხუბი და მტრობა...

მაგრამ გამოჩნდა რამდენიმე გულ-ზვავი ადამიანი...

მოისურვეს ბატონობა, უპირატესობა, განცხრომა.

ჩვენ ვართო რჩეულნი და ამიტომ ჩვენს სურვილზე უნდა იცხოვროს ხალხმაო, ჩვენს ხელში უნდა იყოს ადგილ-მამული, ჩვენ უნდა გვქონდეს ყოველი მოქალაქობრივი უფლება, ჩვენ უნდა გვქონდეს ყოველგვარი უპირატესობა, ქონება, განცხრომა,—ჩვენ ვართო ამა სოფლისა თავადნი...

და ხალხმა დაიჯერა იმათი სიტყვა, აიღო ხელი ყველაფერზე, რაც ადამიანურ ცხოვრებისთვის აუცილებლად არის საჭირო.

ხალხის უმეტესობამ აისხა ბორკილი, ნებით იკისრა მონობა, ამა სოფლისა თავადნი გაიხადა ბატონად და თვითონ ბატონთან იკმარა ყმობა.

ბატონი იმსახურებდა თავის ყმას, ბატონი არაფრად აგდებდა ყმების სურვილს, არ ჰფიქრობდა იმას, რომ მისი ყმებიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ბატონი, რომ მათაც უნდათ იქონიონ ცხოვრებისთვის თანასწორი უფლება...

თავისუფლება, თანასწორობა უცნობი, აკრძალული შეიქმნა ყველასთვის...

ასე ყოფილა უწინ და ნუ თუ კიდევ ასეა დღემდის?..

—

ლაპარაკის უფლება არ ჰქონდა არავის, უკმაყოფილების გამოთქმა აკრძალული შეიქმნა დედამიწაზე.

და შეშინებული იღიმებოდა ყველა, უნდოდა ყველას ამ ღიმილით გამოეხატა თავისი ვითომ კმაყოფილება...

...როდესაც გული მწუხარებით მოკლული ჰქონდა და ბრაზი ერეოდა, რადგანაც ასეთი მდგომარეობა აუტანელი შეიქმნა ხალხისთვის...

დრო-გამოშვებით, მხოლოდ, გაისმოდა ჰაერში ახალი ჰანგები.

„ძმობა—ერთობა... ერთობა, ძმობა... თავისუფლება“!..

ეს ჰანგები უღვიძებდნენ ხალხს გულში ცხოვრების გაუმჯობესების სურვილს, მაგრამ... ამ ქვეყნის დიდებულთა რისხვა ყოველთვის აქრობდა, სპობდა ამ წარმტაც ჰანგებს და ისევე უწინდელივით სიბნელით იყო მოცული ის ადგილები, სადაც ოდნავ გამოჩნდა წინად ახალი სინათლე..

სიბნელე იყო წინად და არის დღესაც.

მაგრამ ხალხმა რაკი ერთხელვე დაინახა სინათლე, უნდა ისევე იხილოს იგი და ეს სურვილი უმატებს ძალას, იმედებს უღვიძებს გულში, რომ მალე ისევე ძლიერად გაისმის ჰაერში წარმტაცი ჰანგები...

ასე ყოფილა უწინ და, გესმის, გესმის შორიდან ახალი ხმები,—ასეა დღესაც!..

ნ. ნ.

პრესსა

ჟურნალ „პრავო“ სჩივის, რომ

აგერ სამ კვირაზე მეტია მას აქედ, რაც გამოიცა ბულიგინის სახელზე ბრძანება, რომელშიაც გამოთქმულია საერო კრების მოწვევის შესახებ: ეს სურვილი კიდევ განმეორდა, როდესაც გრ. ვორონცოვ-დაშკოვი დაინიშნა კავკასიის ნამესტნიკად,—კავკასია უნდა შეუერთდესო იმ აღმშენებელ შრომას, რომელიც დაწყებული არისო ამჟამად რუსეთში.

მას აქედ მხოლოდ აქა-იქ გაურკვეველი ხმებია ამ კომისიის მოქმედების შესახებ, მომავალ რეფორმების შესახებ. არ იციან ისიც, თუ ვინ იქნება მოწვეული ბულიგინის კომისიაში.

მთელი რუსეთი გაფაციცებით მოელის ამ კომისიის შრომას და დღემდის არაფრით არა მტკიცდება, რომ მართლა მალე დაიწყებს მოქმედებას ბულიგინის კომისია. დღესაც ყველგან, ყველა სამინისტროში სრულიად დარწმუნებულნი არიან, რომ ამ კომისიაში იმავე მშვიდობიან ბიუროკრატიულ გზას დაადგება საქმიანობა, როგორც დღემდის ჰქონდა ყველა დაწესებულებაშიო.

საზღვარ-გარეთიდან თუ გავიგებთ რასმე ამ კომისიის შესახებ, თორემ ჩვენში არავითარი ცნობა არ არის. ასე ეგონება ადამიანს, რომ სამინისტროები არც ემზადებიანო ამ კომისიის შედგენას. მთავრობას თუ უნდა ხალხის თანამშრომლობა საქმეში, უნდა მოსპოს ის უნდობლობა, რომელიც ეხლა ერთმანეთში ჰყოფს მმართველს და საზოგადოებას. ერთმანეთში ნდობის დაუმყარებლად შეუძლებელია საერთო შრომა და ნუ თუ შეიძლება ვთქვათ, რომ ენდობიან ხალხს იქ, სადაც ყველას აკრძალული აქვს შეკრება, თავისუფალი ლაპარაკი და აზრის გამოთქმა, ადამიანი დღესაც თუ კიდევ არ არის დარწმუნებული თავის ხელუხლებლობაში და სტუსაღობი თუ დღესაც სავსეა ახალგაზდებით, „რომელიც დაუჭერიათ მხოლოდ უბრალო ეჭვის გამო, უმიზეზოდაც“.

ავიწყდებათ, რომ დაყოვნება არ შეიძლება. ის საქმე, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანს დღეს, ხვალ მისთვის სულ უმნიშვნელო ხდება.

გაზ. „მშაკი“ და თანამედროვე რუსული პრესსა.

კავკასია თანდათან იპყრობს საერთო ყურადღებას რუსეთში და კავკასიის საქმეზე ლაპარაკსაც იწყებს...

ლაპარაკობნდენ კავკასიაზე წინადაც, მაგრამ ვინ: ველიჩკოები, გრინგმუტები, სუვორინები, კომაროვები და მთელი იმათი ამალა. ბიუროკრატიის ერთგულ მოსამსახურეებს ჰქონდათ უწინ თავისუფალი ლაპარაკის მონოპოლია და მრავალი ფაქტი გვიჩვენებს თუ, როგორ უსარგებლიათ ამ მონოპოლისტებს თავიანთ თავისუფლებით. დანარჩენ მწერლებს, ვინც ამ მონოპოლისტების თანამოაზრე არ იყო, თავისუფალ წერის ნება არ ჰქონდა მინიჭებული და მიტომ ძალაუნებურად მიჰმართავდნენ ხოლმე თავიანთ აზრის გამოსახატავად არაკებს, გადაკრულ ლაპარაკს.

ამჟამად არა მონოპოლისტებსაც მიენიჭა მეტი თავისუფლება. ყველა ჰგრძნობს, რომ საჭიროა გულ-ახდილი ლაპარაკი და წერა,—კობეკოს კომისიამ გამოარკვია ამისი აუცილებლობა. ათასი ნაირ-ნაირი საკითხი, ათასი სხვადასხვა საქმე აქვს გასარკვევი ამჟამად საზოგადოებას ჩვენსა და რუსეთში.

ერთი ამნაირ საკითხთაგანია კავკასიის მდგომარეობა და, როდესაც ვამბობთ, რომ კავკასია იპყრობს ამჟამად საერთო ყურადღებას რუსეთში, უნდა გვახსოვდეს, რომ ეხლა კავკასიაზე ხმა ამოიღეს, გრინგმუტ-სუვორინებს გარდა, იმათაც, ვისაც არა აქვს საამისო მონოპოლია მიღებული მთავრობისაგან, თუმცა მონოპოლისტებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ სრულიად აღებული ხელი თავიანთ ხელობაზე და დღესაც იმათი ხმა საზოგადოებაში აქა-იქ გაისმის თამამად.

მონოპოლისტების ღაღადს, რასაკვირველია, დღესაც ექმნება ბიუროკრატიაზე გავლენა, მაგრამ იგი ჩვენთვის უწინდელივით საშიში არ არის, ვინაიდგან ეხლა საზოგადოება გამოფხიზლდა და აღარ ემორჩილება სუვორინისა და მისთანების ქადაგებას და ლათაიებსაც. დიდი ხანია გაიცნო ისინი საზოგადოებამ, გაიცნო მათი აზრი და მისწრაფება. მაგრამ უწინ მხოლოდ იშვიათად გამოჩნდებოდა ისეთი პირი, რომელსაც შეეძლო თავისუფლად სუვორინების მხილება, ეხლა კი გულახდილ და თამამ საზოგადო მებრძოლთა რიცხვი მატულობს რუსეთში...

გამოფხიზლებული რუსეთი საოცარის ენერგიითა და ერთობით ამჟღავნებს ამნაირ პრესსის ბნელ მოქმედებას. მათი ეროვნული სიძულვილი და სიბნელის ტრფიალი ისეთივე საძაგელია ნამდვილ კონსერვატორებისთვის, როგორც ლიბერალ პრესსისთვის.

პეტერბურგში ახლა დაარსდა ახალი გაზეთი „რაზსვეტ“ თავად უხტომსკის რედაქტორობით. თ-დი უხტომსკი ცნობილია რუსეთში, ცნობილია ჩვენშიაც; იგია კონსერვატორი და ისეთ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც პატივს სცემენ გულწრფელ რწმენასა და გულახდილობას.

ტ. უხტომსკის კონსერვატორული მიმართულება ხელს არ უშლის ჩაგრულის დაცვას, სიმართლის ძებნას, ძალმომრეობასთან ბრძოლას და განსაკუთრებით ეროვნულ სიძულვილს და ეროვნულ განხეთქილების უარისყოფასაც. როდესაც ველიჩკოები ყოვლად შემძლენი იყვნენ რუსეთში, როდესაც პრესსის თავისუფლება მხოლოდ სანატრელი თუ იყო ჩვენთვის, იმ დროს ერთად ერთი თ. უხტომსკი ებრძოდა ცხოვრების ბნელ ძალებს, თამამად ამჟღავნებდა მათ მოქმედებას და არ უშინდებოდა მაღალ ხარისხოვან და ძლიერ პირთა გულმოსულობას.

დღეს ამნაირ მწერლებზე არ ვლაპარაკობთ, თ. უხტომსკი დავასახელეთ მხოლოდ ჩვენი იმედის გამოსათქმელად, რომ ერთმანეთის პატივის ცემა და ეროვნული ძმობა მალე გამეფდება რუსეთში. ამჟამად ქვანიც კი ღაღადებენ სუვორინებისა და მისთანა კაციჭამიების საწინააღმდეგოდ და საამისო პატრიოტების საწინააღმდეგოდაც.

ეხლაც ვიმეორებთ ამასვე და აღარ გვეშინია სუვორინების ჰყავილისა, ჩვენ გაჭირვებას რუსეთის ზოგიერთი გავლენიანი პირი ამჟამად სხვა თვალით უყურებს და ჩვენც უნდა გვქონდეს იმედი, რომ მათი ხმა თანდათან უფრო გაბედული გახდება, უფრო თამამი და უფრო ძლიერიც.

«მშაკი» № 46.

წერილი ჟენევიდან

მშვიდობიანობის ლიგა.—სემპლონის გვირაბი.

23 თებერვალს აქ, მრავალ რიცხოვან საზოგადოების თანადასწრებით, გაიმართა საერთაშორისო მშვიდობიანობის ლიგის ადგილობრივი განყოფილების კრება, რომელიც გაიხსნა ჟენევის ლექციის საპატიო პრეზიდენტის ბ. დრ. კორდეს თავმჯდომარეობით.

სიტყვა წარმოსთქვა ბ. დრ. გობატმა შემდეგის სათაურით: „მთავრობათა მოვალეობა“. საზოგადოებამ ორატორი დააჯილდოვა აღფრთოვანებულის ტაშის-კვრითა და „გაუმარჯოს მშვიდობიანობას“ ძახილით.

დასასრულ, კრებამ ერთხმათ შემდეგი რეზოლიუცია დაადგინა: 1905 წელს თებერვლის 23-ს რიცხვს, მოვისმინეთ რა ჟენევის უნივერსიტეტის დარბაზში ბ. დრ. გობატას სიტყვა „მთავრობათა მოვალეობა“, კრება ჟენევის საერთაშორისო მშვიდობიანობის სექციის წევრებისა ერთხმად ჰგმობს საზოგადოდ ომიანობას და კერძოდ შორეულ-აღმოსავლეთის ომსაც. რუსეთმა და იაპონიამ დაარღვიეს 1899 წ. 29 ივლისს ჰააგაში დადგენილი საერთაშორისო მშვიდობიანობის პირობის მეორე მუხლი, რომლის ძალითაც, სანამ იარაღს ხელში აიღებდნენ სადავო კითხვის გადასაწყვეტ-გასარიგებლად მათ უნდა მიემართათ რომელისამე მოკავშირე სახელმწიფოსთვის. რადგან ხსენებულ დადგენილებაზე ხელ მოწერილ მთავრობებს (მუხ. 3) სრული უფლება აქვთ თავის წინადადებით შუამავლობა გაუწიონ ომიანობის დროსაც მეომარ მხარეებს და ვინაიდგან ეს დიდებული საერთაშორისო მშვიდობიანობის ხელშეკრულება მოკავშირეების სრულ ნებაყოფლობითაა დადგენილი, ჩვენ ამ საპატიო პირობის (27 მუხ.) ძალით სავალდებულოთ მივიჩნიეთ და ვსთხოვთ ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტს ბ. რუზველტს კეთილ ინებოს და რუსეთისა და იაპონიის მთავრობათა შორის შუამავლობა გასწიოს, რათა ხსენებულმა სახელმწიფოებმა დაუყოვნებლად ზავი დასდონ მათ შორის სრული მშვიდობიანობის აღსადგენად“.

მთა-გორიანი შვეიცარია ბუნებითი ციხე-სიმაგრეების გროვაა, იგი შემოზღუდულია მუდმივი მყინვარებით, ციცაბო და მიუვალი მთებით. ეს მრისხანე და მოღუშული ბუმბერაზები მრავალი საუკუნოების განმავლობაში, მწყრალად დაჰყურებდნენ შვეიცარიელებს, იცავდენ მათ გარეშე მტრების შემოსევისა და დარბევისაგან, მაგრამ ამავე დროს მეტად გაბატონებულან.

ვინ ან რა შეედრება თავ-თეთრა ბუმბერაზს მონბლანს და მის ჭაღარა მოძმეებს!?

საუკუნოები საუკუნოებს მოსდევდნენ, ყინვის ზვავები მწვერვალებიდან გრიალით ძირს ეშვებოდნენ და სთელავდნენ უზარ-მაზარ კლდეებს; თოვლი, წვიმა და მეწყერი განუწყვეტლად ღრღნიდნენ მთებსა და ბორცვებს.

შვეიცარიელები კი თავის განუყრელის წრიაპებით ჰპან-წყვეტით ეწეოდნენ ბუნების უდიდეს ძალებთან ყოველ-დღიურ ბრძოლას და მოთმინებით ელოდებოდნენ „მთაბარის გასწორებას“!

მაგრამ ხანგრძლივმა გამოცდილებამ დაარწმუნა შვეიცარიელები, რომ ალპის მთაგრეხილების გადნობა და განაცარმტვერება არც ისე ადვილი საქმეა, რომ მას ადამიანი მოსწრებოდა, და ამიტომ ისინი ევროპიელის სიმკვირცხლით, შვეიცარიულის მხნეობით შეესივნენ მძლავრ მთებს: გაჰკაფეს ტყეები; გასჭრეს კლდეები, გაიყვანეს გზატკეცილები! ამასაც აღარ დასჯერდნენ: გახვრიტეს სხვადასხვა მთები და შეაერთეს მიდამოები.

ამათგან ყველაზე უდიდესი და უძლრესი ახლად დამთავრებული სემპლონის გვირაბია, რომლის გაყვანაც წინად დაიწყეს და ამა წლის თებერვლის 24 რიცხვს დასრულდა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სემპლონის გვირაბის გაჭრამ აქაურ ჟურნალ-გაზეთებსა და საზოგადოებაში. თვით თვალთ-მაქცი ევროპიელებიც კი გააკვირა ამ დიდის საქმის შესრულებამ და განცვიფრებით ერთმანეთს ეკითხებიან, რა თაემა იანგარიშა და რა ხელმა იმუშავა ასეთის სისწორით, რომ სწორედ დანიშნულ დროსა და მანძილზედ ორივე მხრიდან მომავალი გვირაბების მთხრელნი ერთი და იმავე **დარაზჩში** ჩამოსხმულ მილებივით ერთმანეთს შეხვდნენო. სემპლონის გვირაბი სიგრძით ოც ვერსამდეა, აერთებს ვოდვასა და ვალეზის (შვეიცარიის კანტონები) მიდამოებს.

ოც და ოთხ თებერვალს, დილის 7-ს საათზე და 20 წ. სემპლონის გასახვრეტად უკანასკნელად ააფეთქეს 10 ნაღმი.

9 საათზე ტუნელის სანახავად და შესამოწმებლად მოვიდნენ ინჟ. რეინერი, ბრანდო, რეზენშუნდე, ლაკრუა... და მომავალი ცნობის-მოყვარე საზოგადოება. გვირაბში ცხელი წყარო გამოსულიყო, გაზით ავსილიყო და ბევრი მნახველთაგანი, ვინც გვირაბის დასათვალიერებლად შორს წასულიყო გულ წასული, გამოიტანეს გარედ არეთვე ინჟ. გრესიმ და ბიანკომაც ვერ აიტანეს გვირაბის გაზით მოშხამული ჰაერი და 41 გრადუსი სიცხე. პირველმა მათგანმა ერთი საათის განმავლობაში გულის სიდამბლით სული დალია, ხოლო უკანასკნელი უკვდაათ.

სემპლონის გვირაბის გაჭრის თაობაზე გაზ. მატენი შენიშნავს: დაახლოვებით ორი ჯავშნიანი გემი ჯდება 80 მილიონი ფრანკი, რამდენიმე წუთია საკმაო, რომ უბედურის შემთხვევით წყალში ჩაიძიროს ან, თუ ომს ასცდა—რამდენისამე წლის შემდეგ ხმარებიდან გამოვა და შემდეგ მხოლოთ უხმარ რკინის გროვას-ღა წარმოადგენსო; გვირაბი კი მუდამ გამოსადეგი და უკვდავი განძია, გვირაბი გამამდიდრებელია, ხოლო ჯავშნიანი გემი-კი ხალხის გამაღატაკებელიაო.

ერთი სიტყვით, დიდი მილოც-მოლოცვა ავთქ გამართული ქალაქების, კანტორებისა და სინდიკატების წარმომადგენლებს სემპლონის თაობაზე.

თვით გვირგვინოსნები და მათი მინისტრებიც კი გასჯილან და გამარჯვებას ულოცავენ სემპლონის საქმის მოთავეებს. დიახაც რომ სასიხარულო საქმე აქვთ შვეიცარიელებს: კარგი გზებისა და ერთმანეთში ხშირი მისვლა-მოსვლის წყალობით, შვეიცარიის მთებში მომწყვდეული სხვადასხვა ერები, რომლებიც წინად ერთმანეთს მოსისხლე მტრად სთვლიდნენ, დღეს მკვიდრის კავშირით არიან შეერთებულნი და დამეგობრებულნი. ხოლო ეს ახალი გზა,—სემპლონი,—შვეიცარიას აახლოვებს მშვენიერ იტალიასთანაც და ეს კი, როგორც ირწმუნებიან, ახალი ძალისა და საერთაშორისო მშვიდობისა და ბედნიერების მომასწავებელიაო.

ამ საერთო მხიარულობის დროს მხოლოდ საფრანგეთის ბურჟუაზია ნიანგის ცრემლებსა ღვრის და გაიძახის: შვეიცარიის იტალიასთან დაახლოვება საფრანგეთისათვის დიდად მავნებელია და თანაც ნანობს, როგორ მოგვივიდა, რომ სემპლონის გაჭრის საქმეში ჩვენც არ მივიღეთ მონაწილეობაო!

ვანელი.

რუსეთი

თანამედროვე უნივერსიტეტი. უნივერსიტეტი—ეს ტაძარი მეცნიერებისა—დღეს რაღაც საეჭვო და არა კეთილ-საიმედო დაწესებულად არის გადაქცეული, იმ გვარ დაწესებულებად, რომელიც, თუმცა სრულებით მეტ ბარგად არ არის ცნობილი, მაგრამ მუდმივ თვალყურის დევნას კი თხოულობს; ამიტომაცაა, რომ მთელ უნივერსიტეტის ცხოვრებას პოლიციური და ბიუროკრატიული ოპეკა ობობას ქსელივით გარს ახვევია და სიცოცხლეს უშამლავს: ოპეკა ადევს სტუდენტობას, პროფესორებს, თვით მეცნიერებასაც კი.

ინსპექცია, რომელიც გაფაციცებით ადევნებს თვალყურს სტუდენტების ფიქრებსა და საქციელს,—ცდილობს ყოველი მათი ნაბიჯი სხვადასხვანაირ განკარგულებით შებოჭოს. ინსპექციას უნივერსიტეტში შეაქვს გამხრწნელი თვისება ჯაშუშობისა და გაიძვერობისა, იგი აღელვებს ახალგაზდობას და მას ართმევს სწავლა-განვითარებისთვის საჭირო სიმშვიდესა და სიწყნარეს.

თანამედროვე საუნივერსიტეტო წესდება და ათასი დამატებითი „ცირკულიარი" უნივერსიტეტის ცხოვრების ხელმძღვანელებსა და მეთვალყურეთ საშინლად ავიწროვებს და ძირშივე ახალგაზდობაზე მათ ნაყოფიერს გავლენას ხელს უშლის. უნივერსიტეტს განაგებენ ისეთი პირები, რომელთაც მეცნიერებასთანა და მის ზრდა-განვითარებასთან არაფერი საერთო არა აქვთ. საუნივერსიტეტო წესდების სულის ჩამდგმელნი ლამობდნენ თვითმეცნიერების სამთავროშიაც შეეტანათ თავისი „ცირკულიარები" და პროფესორთა მოღვაწეობისთვის დაედოთ ლოდი სხვადასხვა განკარგულებითა. და თუ ეგ ვერ მოახერხეს, სამაგიეროდ ყოველ დღე ემუქრებიან უნივერსიტეტის ამ თვით-ნებობას.

ამ პირობებში უნივერსიტეტი აუცილებლად უნდა დაწყლულებულიყო. ამ გარემოებაში ჩაყენებულს არ ძალუძს წინსვლა და განვითარება. ამ უკეთურ მდგომარეობიდან უნივერსიტეტებს მხოლოდ სახელმწიფო წეს-წყობილების ძირითადი ცვლილება დაიხსნის. (რ. ვ.)

უნივერსიტეტის მდგომარეობასვე ეხება ცნობილი პროფესორი ტრუბეცკოი და ამბობს: «უპირველესი და უსაჭიროესი ზომა, რომელიც უნივერსიტეტს უშველის—ეს უნივერსიტეტის დამობილ ავტორიტეტის აღდგენაა, აღდგენა საბჭოსი, აღდგენა უნივერსიტეტის ავტონომიისა. უნივერსიტეტი უნივერსიტეტისთვის—აი რა გვინდა ჩვენ დღეს, აი რა უნდა შეადგენდეს უმაღლესის სკოლის ქვა-კუთხედს, თუ გვსურს მისმიერ აღზრდილებმა ნათლად წარმოიდგინონ თავისი ჭეშმარიტი დანიშნულება და თავისუფლებითა და განმანათლებელის ძლევამოსილობით შემოსილმა მასწავლებელთა კოლეგიამ კი თავისუფალი მეცნიერების თავისუფალ ზრდა-განვითარებას პირნათლად ემსახუროს, საზოგადოებასა და მოსწავლე ახალგაზდობას პატივისცემა მოსთხოვდს.

ნდობა უნივერსიტეტისადმი—აი რა არის საჭირო; უამისოდ უნივერსიტეტს ბოლო მოეღება. (რ. ვ.)

ფინლიანდიის სეიმი ამჟამად გაფიცულა. სეიმმა 31 დეკემბერს შეიმუშავა პეტიცია პეტერბურგში წარსადგენად და პასუხის მოსვლამდე მოქმედება შესწყვიტა. პეტიციაში ფინლიანდიელები თხოულობენ თავის ქვეყნის თვით-მართველობის აღდგენას და პოლიტიურ ბატონობის მოსპობას—იმ ბატონობისას, რომელმაც ფინლიანდიელების ცხოვრებას ბორკილები დაადო და ეს მშვიდი, განათლებული ერი აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა. სხვათა შორის, პეტიციაში კატეგორიულად არის ნათქვამი: მანიფესტს და 3 თებერვლის ძირითად დებულებს (სამხედრო ბეგარის ახალ წესებს შეეხება) ფინლიანდიაში არავითარი ძალა და კანონის მნიშვნელობა არ ქნება. ამიტომაც არავითარი საკანონმდებლო ზომა, რომელიც იმ მანიფესტზე და ძირითად დებულებაზე იქნება აშენებული, ფინლიანდიის ერის მიერ არ იქნება ცნობილი, როგორც სავალდებულო კანონი.

ამის შემდეგ პეტიცია ეხება ადმინისტრაციის თვითნებობას, რუსულ ენის სახელმწიფო დაწესებულებაში შემოღებას იმ ქვეყანაში, რომელშიაც 2.700,000 მცხოვრებთაგან რუსად თავის თავს მხოლოდ 8,000 კაცი სთვლისო.

პეტიციაში პროტესტია გამოცხადებული აგრეთვე რუსის მოხელეების წინააღმდეგ, ჟანდარმების ჯამრავლებისა და ახალ უფლებებით შემოსვის წინააღმდეგ და სხ.; ერთის სიტყვით, პეტიციაში 36 კანონია ჩამოთვლილი, რომლის მოსპობის მოლოდინშიაც სეიმი გაფიცულია. (მ. ვ.).

ბიბლიოგრაფია

«Древности» ტ. მე-19-ე, გამოც. მე-3-ე.

ამ წიგნში დაბეჭდილია რამდენიმე წერილი-გამოკვლევა და მათ გარდა კიდევ ერთი შენიშვნა, რომელიც იმერობს ჩვენს ყურადღებას. ეს არის კრეჟის გუბერნატორის მოხსენება შესახებ ყიდარისა და ტაშირუნის სოლისებრ ზედწარწერიან ქვების გატაცებისა ამიერ-კავკასიიდან და იმერეთიდან. 1898 წელს ვიღაც უცხოელი მღვდელი ფაბერი მასულა სოფელ ყიდარს, რათა გამოეტყვრით ყიდარის სოლისებურ წარწერიანი ქვა და გაიტაცოს. სოფლელებს შეუტყვიათ და რადგან ხსენებული ქვა სათაყვანოდ ჰქონიათ, თვალ-ყური დაუჭერიათ. მიუხედავად ამისა, ხსენებული ტაშირუნის სოლისებრ წარწერიანი ქვა და წავიდა ბერლინს... ამგვარადვე დაიკარგა მრავალი ძვირფასი არქეოლოგიური ნაშთი. საქართველოდან ხომ კარგა ხანია ეზიდებიან მატურებს, ეტრატზე ნაწერ წიგნებს, საყდრების სამკაულს და სხვა სასიტარიო და საარქეოლოგიო ნივთებს...

მ. ჯ.

კორესპონდენცია

ს. კარალეთი. გორის მაზრაში დღითი-დღე იზრდება ეხლანდელ სოციალურ და სახელმწიფო წეს-წყობილებათა საწინააღმდეგო მოძრაობა. აქამდის დაბეჩავებულმა გლეხმა—მუშამ, ყველასაგან და ყველგან დაჩაგრულმა, მოიფშვნიტა თვალები, მიმოიხედა... მან იგრძნო თავისი პიროვნების დამცირება, პირუტყვთან დადარება, თავისი დაბეჩავება და ხმა ამოიღო, მოინდომა, რომ იგიც კაცად, ადამიანად ეცნოთ, და თავისს საქმეზე მასვე შეეკითხოდნენ. ამიტომ ხშირად ყრილობებს მართავენ.

კვირას, 13 მარტს, მთელი კარალეთის საზოგადოება შეიკრიბა ს. კარალეთის ბოლოზე. სულ რვა-ცხრა ათასამდე იქნებოდა. აქ რამდენიმე გლეხ-კაცმა მიმართა ხალხს სიტყვით; მათ გამოსთქვეს, რომ სასურველია შესწყვიტონ უსარგებლო და თავიანთთვისაც ფრიად საზარალო დაწვა-გადაბუგვა მემამულეთა და სხვების სახლკარისა და ვენახების, საზოგადოდ იმოქმედონ თავდაჭერილად და მოფიქრებით, და თავიანთ მოთხოვნილებაზე მტკიცედ იდგნენ. შემდეგ მათ დემონსტრატიულად გაიარეს სოფელ კარალეთში; ხელი მოაწერინეს მღვდლებსა და თავად-აზნაურობას, რომ ისინი დაკმაყოფილდებიან ამორჩეული კაცების გადაწყვეტილებით. ხალხი გვიანობამდე არ დაშლილა და სჯა-ბაასი ჰქონდა:

დღევანდელ სკოლების გაუქმებასა და უფასო სკოლების დაარსებაზე.

სკოლაში სწავლა უნდა დედა-ენაზე იყოს.

მემამულეთა სასარგებლოდ მამულის მოსავლის მხოლოდ მეათედის გაღებაზე.

საძოვრისა და ტყის უფასო ხმარებაზე.

აქციზის მოსპობაზე.

სამკითხველოების დაარსებაზე.

მღვდლისა და მამასახლისის მთავრობიდან ჯამაგირით დაკმაყოფილებაზე.

პოლიციის უფლებათა შემცირებაზე.

და კრებებისა და სიტყვის თავისუფლებაზე.

გ. ნამორაძე.

—

ჭიათურა. 12 ამ თვისას ჭიათურაში ჩამოვიდა კავკასიის მთავარმართებლის თანაშეწეობის დროებით აღმასრულებლის მიერ საგანგებოდ გამოგზავნილი შირი „Начальникъ охраны" და შორაპნის მაზრის მმართველი ბ-ნი ლეონიძე, რომლებმაც დაიბარეს ხალხი რკინის გზის სადგურზე და დამსწრე საზოგადოებას გამოუცხადეს უმაღლესი მთავრობის გადაწყვეტილება. „ამ დადგენილების ძალით მაქვს უფლება გამოვუცხადო საზოგადოებას,—სთქვა ზემო დასახელებულმა ნაჩალნიკმა,—რომ, რადგანაც ჭიათურელებს და მეზობელ სოფლელებს ბრალდებათ 25 თებერვალს მომხდარი უწესოება, ესე იგი, ბაქ. მწერლის, მასთან ორი საერობო დარაჯის მოკვლა და დარაჯებისათვის სადგომ-სახლის დაწვა, ამიტომ ასეთის თავხედობისათვის კავკასიის მთავარმართებლის თანაშეწეობის დროებით აღმასრულებლის დადგენილებით სუთი დღის განმავლობაში უნდა გადაიხადოთ 5000 მანათი, რომელიც იყოფა ორ ნაწილად, ერთი წილი—3000 მანათი—უნდა აგისროს ჭიათურის საზოგადოებამ, 2000 მანათი მეზობელ სოფლელებმათ და, თუ დასახელებულს ვადაში არ შეასრულეთ ეს ბრძანება, იმ შემთხვევაში ვიხმართ ღონისძიებას, რომ ძალით ავიღოთ თქვენზე გაწერილი 5000 მანათიო.

ასეთის გამოცხადების შემდეგ ადგილობრივმა ექიმმა მიმართა „ნაჩალნიკს" სიტყვით, მაგრამ დასახელებულმა მთავრობის წარმომადგენელმა უარი განუცხადა ექიმს და უთხრა: არავითარ სიტყვას და თხოვნას არ ვღებულობ არავისაგანო.

ამის შემდეგ ხალხი დაიშალა და განსაკუთრებით მოილაპარაკეს თავიანთ გაჭირვებაზე. საზოგადოებამ დაადგინა: გააგზავნოს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან დეპუტაცია, რომელმაც გამოუცხადოს, რომ ჯარი გაყვანილ იქნეს ჭიათურიდან და ამასთანავე ის 5000 მანათიც გვეპატიოს, რომელიც დღეს, 12 მარტს, გამოგვიცხადეს ხუთი დღის ვადაში შესატანადო და ეს უკანასკნელი თხოვნა თუ შეუძლებლად იცნოს გუბერნატორმა თავის მხრით, იმ შემთხვევაში, ხუთი დღის მაგივრად, მოგვცეს უფრო გრძელი ვადა და, ახლად დანიშნულ კავკასიის ნამესტნიკთან, როგორც კი კავკასიაში მოვა, გავგზავნოთ დეპუტაცია სათხოვნელად, რომ გვეპატიოს ის 5000 მანათი, რომელიც მთავრობას ჩვენზე აქვს გაწერილიო.

გუბერნატორთან გასაგზავნ დეპუტაციაში საზოგადოებამ ამოირჩია ადგილობრივი ექიმი ს. დ. ჯაფარიძე, თ-დი კატა აბაშიძე, შავი ქვის საბჭოს წევრი თ-დი ი. ბ. ნიჟარაძე, ბ-ნი ზ. ბ. მოსეშვილი, ბ-ნი არდიშვილი და ქუთაისის გუბერნიის წინამძღოლი. თუმცა ეს უკანასკნელი კრებას არ დასწრებია, მაგრამ საზოგადოების თხოვნით დავალებული აქვთ ზემო დასახელებულ პირთ, რომ წინამძღოლს სთხოვონ, საზოგადოების მაგივრად დახმარება აღმოუჩინოს ამ მძიმე საქმეში. დეპუტაცია უკვე გაემგზავრა ამავე დღეს.

-გ. ნანელი

—

სოფ. ზვარე. ბუნებით უხვად დაჯილდოებული ზვარე, რომელიც სურამზე ათის ვერსით იქნება დაშორებული და შორაპნის მაზრას ეკუთვნის, ამ ჟამად სულ სხვა მდგომარეობაშია. მიძინებულმა ხალხმა აქაც გაიღვიძა და უკეთეს ცხოვრების დასამყარებლად ძლიერი და გაბედული ხმა ამოიღო. უწინარეს ყოვლისა ხალხმა უოგვეგვარი დამოკიდებულება შესწყვიტა სოფლის ადმინისტრაციასთან და თავის საქმეების მართვა-გამგეობა თვითვე დაიწყო. მამასახლისი, მწერალი, „სტრაჟნიკები", ნაფერები და სხვანი ამ ჟამად სოფელში მესვლას ვეღარ ბედავენ. სოფლიდან ამ მოხელეთა გაძევებას მოჰყვა სრული მშვიდობიანობა. წინად დღე ისე არ გავიდოდა, რომ რამე ქურდობა არ მომხდარიყო, ახლა კი ქურდობა სრულიად მოისპო. სოფელს ამორჩეული ჰყავს თოხი კაცი და გლეხთა საქმეებს ისინი აწესრიგებენ. აქაური გლეხები ძალიან სცდილობენ, რომ მათის აღელვებით მტერმა არ ისარგებლოს და თავადებს ან ცეცხლი არ წაუკიდონ, ან უბრალოდ სისხლი არ დაღვარონ. თუ გლეხები რა რიგ უფრთხილდებიან თავად-აზნაურთა სიცოცხლეს და კერძო საკუთრებას, სჩანს შემდეგის მაგალითიდან: ერთს გლეხს ჩუმად ტყეში ხე მოეჭრა და სახლში ჩამოეტანა. ეს სხვა გლეხებმა შეამჩნიეს, შემდეგ მომმე გაასამართლეს და ხე ტყეშივე წაატანინეს. ამის შემდეგ ასეთი მაგალითი აღარ ყოფილა.

აქაურებმა სასამართლოსთანაც უოგვეგვარი კავშირი გასწყვიტეს და საქმეებს შინაურულად აწესრიგებენ. ფულიც არ ეხარჯებათ და საქმეც ჩქარა კეთდება.

რ—ბ—ლი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

17 მარტი.

ლონდონი, 16 მარტი. ხუთს ბანკს, რომლებიც იაპონიის სესხს აძლევენ, დილიდანვე დიდძალი ხელის-მომწერი ეხვეოდა. შუადღისას ხელის მოწერამ 50 მილიონით გადააჭარბა გამოცხადებულ სესხის თანხას.

ლონდონი. ვაშინგტონიდან იწერებიან, ერთმა სანეიტრალო სახელმწიფომ გააფთხილა იაპონია, შუამავლობა არავის მიანდოო. მეორე სახელმწიფოს მთავრობამ ურჩია, ეხლავე მოითხოვე, რომ მოლაპარაკება პეტერბურგში დაიწყოო.

ვიგო. ისპანიელ გემს პორტუგალიის ნაპირთან რუსეთის კრეისერი უნახავს, სამხრეთისკენ მიმავალი.

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა რუზველტმა მიიღო იაპონიის, გერმანიისა და საფრანგეთის წარმომადგენელნი. ამბობენ, საფრანგეთი და გერმანია ძალიან ცდილობენ, რომ სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყოსო.

კოპენჰაგენი. აქაურ გარეშე საქმეთა სამინისტრომ იაპონიის მთავრობის ნოტა მიიღო იმის გამო, რომ რუსების ბალტიის ესკადრას დანიის წყლებზე ნახშირი ეძლეოდა. ნოტაში ნათქვამია, დანიის საქციელი არ ეთანხმება მისგანვე გამოცხადებულ ნეიტრალიტეტს და ამის გამო დანიამ უნდა გადიხადოს 60,000 გირვანქა სტერლინგი იაპონიის ზარალის ასანაზღაურებლად.

პეტერბურგი, 17 მარტი. ის დეპეშა, ვითომც ლიაოიანის გუბერნატორი გამოტყდა, რომ მე 32 ნათესავითურთ ვჯაშუშობდი რუსეთისათვისო. სრულიად უსაბუთოა. რუსეთ ურთიერთობა არა ჰქონია ჩინეთის მოხელეებთან მანჯურიაში. პირიქით, იაპონელებმა ძალით დაიჭირეს ლიაოიანის გუბერნატორი. ყველანი აწამეს და დალნის გაგზავნეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმა ჩინელ მოხელეთაგანმა გუბერნატორს ცილი დასწამა ვითომც რუსეთის აგენტი ყოფილიყოს.

იაპონელებმა მთელ ფრონტზე უკან დაიწიეს. როგორც ეტყობა, არეულ ლაშქარს თავს უყრიან და აწყობენ, სურსათი და ტყვია ყუმბარები მოაქვთ. ის ამბავი, ვითომცა რუსის დაჭრილთ ექიმებსა და დებს სტანჯავდნენ ტყუილია. მუკდენში იაპონელებმა გაანთავისუფლეს ექიმები და სანიტარები, რომელნიც მათთვის საჭირო არ იყვნენ. განთავისუფლებულებმა ფეხით 25 ვერსი გაიარეს. იაპონელები გვიძვლიან, ჩვენ მზად ვართ ხუთი წელიწადი ვიომოთო. იაპონელებს უნდოდათ, მუკდენთან რუსეთის ლაშქარი მთლად მოემწყვდიათ, მაგრამ ვერ მოახერხეს და თითონვე დიდად დაზიანდნენ. იაპონელებმა ხელახლად უნდა მოიკრიბონ შერყეული ძალა, რომ რუსეთის ლაშქრის მომწყდევა კიდევ სცადონ.

პეტერბურგი, 16 მარტი. საზღვარ გარედ ხმა გავრცელდა, ვითომც რუსეთმა ზავის პირობები შეიმუშავო. როგორც „პეტერბურგის" სააგენტო იუწყება ეს ხმა უსაბუთოა.

სიტიაზა, 17 მარტი, საღამოს 9 საათი. ჩინელები ამბობენ, სიპინგაის ჩრდილო-დასავლეთად 40 მილის მანძილზე იაპონელების რაზმები გამოჩნდნენო. ეტყობა, უნდათ რუსებს გზა გადაუჭრან. მეორე დღეა, თოვლი მოდის.

ლონდონი, 16 მარტი. „ივნინგ სტანდარტი" იუწყება, რომ იაპონიის ელჩმა რუზველტს აცნობა იაპონიის საზავო პირობები, ხოლო სთხოვა, რუსეთს არ შეატყობინოვო. ამ პირობებში კონტრიბუცია არ იხსენიება. საფრანგეთის ელჩმა აცნობა რუზველტს რუსეთის აზრი, გაიგო იაპონიის პირობები და დეპეშით შეატყობინა საფრანგეთის მთავრობას. შეერთებული შტატები მხოლოდ გადამცემი ინსტანცია იქნება.

ბერლინი, 16 მარტი. ბიულოვმა განაცხადა რეიხსტაგში, შარშან იმპერატორმა ვილჰელმმა განუცხადა ისპანიის მეფეს, რომ გერმანიას არა სურს მიწა-წყალი დაისაკუთროს მაროკოშიო. მაშასადამე, ეხლანდელ მოგზაურობის დროს მაროკოს სამფლობელოს ჩამოჭრაზე ლაპარაკიც არ იქნება. მაინც კი გერმანიამ თავისი ინტერესები უნდა დაიცვას მაროკოში. მოგზაურობას ეს აზრი აქვს.

პეტერბურგი. როგორც ამბობენ, 10 მარტს პირველი კერძო კრება ყოფილა შინაგან საქმეთა მინისტრთან, თანახმად 18 თებერვლის უმაღლესის რესკრიპტისა წარმომადგენელთა მოწვევისა გამო საკანონმდებლო საქმისა და განზრახულებათა შესამუშავებლად.

ლონდონი. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, ბენკენდორფი და ლანსდაუნი დღეს პირველად დაესწრნენ გარეშე საქმეთა სამინისტროში დიპლომატიურ კორპუსის ყოველ-კვირეულ სხდომას.

ბერლინი. რუსეთის კომენჭაგელი ელჩი ამ ჟამად ბერლინშია.

პარიზი. ახალშენთა სამინისტრომ ცნობა მიიღო, კუნძულ მადაგასკარზე, ბეფორნის მახლობლად, რკინის გზასთან ერთი ფრიად მდიდარი ოქროს მადანი აღმოჩნდაო.

პარიზი. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს განსაკუთრებულმა კომისიამ დაადგინა, შემდეგი საერთაშორისო გამოფენა გამართოს პარიზში 1920 წ., მესამე რესპუბლიკის ორმოცდაათის წლის თავზეო.

ლონდონი. ჯვლანის ემირთან გაგზავნილმა ინგლისის მისსიამ შესრულა ნაკისრი დავალება და, ხელშეკრულების დადების შემდეგ, ინდოეთს გადავიდა.

სტამბოლი. გუშინ ხონთქარმა ხელი მოაწერა ირადეს, რომლის ძალითაც პატრიარქს უფლება აქვს თავის სურვილისამებრ მოაქციოს პარტიარქიტის წევრთ, რომელთაც პროტესტი განუცხადეს პატრიარქსა და ინციდენტი მოახდინეს. საბერძნეთის მისსია თითქო არაფრად აგდებს კრიტელთა მოძრაობას, ხოლო პორტასაგან მიღებული ღონისძიება კი აღელვებას იწვევს. ხონთქარმა ბრძანება გამოსცა, ისესხონ 60,000,000 ფრანკი და როგორმე დააკმაყოფილონ კონსტანი. ამ სესხის მეოთხედით საფრანგეთში ზარბაზნებს და პატარა გემებს იყიდიან; გემებს შორის ათი საკანონიერო იქნება. ამავე დროს განზრახულია გერმანიაშიაც ისესხონ 50,000,000 მარკა.

ლონდონი, 17 მარტი. დუხობორების წინამძღოლს ვერიგინს უთქვამს, დუხობორები ბედნიერნი და კმაყოფილნი არიან ნორკტოუნის ახალშენში. იმათ შეითვისეს ეხლანდელი წესი და იარაღი ხვნათესვისა. ქალები კარგა განვითარდნენ ზნეობრივად. დუხობორები ძალიან მალე დაემსგავსებიან კანადელებსო.

ლონდონი. აქ ხელმოწერილია ტრანსვალის კონსტიტუცია. იმედოვნებენ, რომ ამ სამის კვირის განმავლობაში კონსტიტუცია პარლამენტის წევრებს წარედგინებათ განსახილველად.

გიბრალტარი. აქ მოვიდა სახელმწიფო მდივანი გეი.

ბერნი. საკავშირო რჩევამ დაამტკიცა ხელშეკრულება საფრანგეთისა, ბელგიის, ინგლისის, იტალიის, შვეციისა და ნორვეგიასთან სამედიატორო სასამართლოს შესახებ.

კანეა. ინგლისის ჯარის ერთი რაზმი სუდის ნავთსადგურს მოვიდა.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 15 მარტი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,72½
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,63
ბირჟის დისკონტი	5¼—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	85½
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სააზ.-მამ. ბანკ.	—
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	385½
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	305 „
5% გირ.-მომ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	270 „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	— „
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. სახ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4½% გ'რავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	216¼

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № (3 ნაშუადღევს 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილ.-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გლეიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტ ფ ი ლ ი ს შ ი:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

საყმაწვილო ჟურნალი
„ნ ა კ ა დ უ ლ ი"
ს უ რ ა თ ე ბ ი თ
გამოდის მცირე-წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის
თვეში სამი წიგნი: ორი მცირე-წლოვანთათვის და ერთი—მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.
წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.
ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე 3 მან., ნახევრის წლით ორივე გამოცემა 2 მან. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მანეთიც შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კაპ., მცირე-წლოვან ყრმათა—15 კ.
რედაქცია იმყოფება ალექსანდრის ქუჩ., № 5. სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.
ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამომც. საზოგადოების" კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.
ფოსტის ადრესი.
Тифлисъ, редакція журнала" НАКАДУЛИ".

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შ რ ო მ ა"
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში,

Дозволено цензурою, Тифлисъ, 17 марта 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა" ფრეილინის ქ. № 5.